


შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის მუშაობის შეფასება



შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის მუშაობის შეფასება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, „საქართველოს
დემოკრატიული ინიციატივის“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და
მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის“ ერთობლივი ანგარიში

აპრილი 2014

თბილისი

1. შესავალი	3
2. საკანონმდებლო ინიციატივები	5
2.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს განვითარების სტრატეგია	5
2.2. პოლიციის შესახებ კანონი	5
2.3 რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის მარეგულირებელი ნორმები	6
2.4 მონწილის დაკითხვის წესის გადავადება	7
2.5 დაცვის მხარისთვის დამატებითი უფლებების მინიჭების გადავადება	8
3. შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შეფასება შეკრების თავისუფლების უზრუნველყოფის კუთხით	9
3.1 ოპოზიციური პარტიის შეკრებების უსაფრთხოების დაცვა	9
3.2 მშრომელთა გამოხატვის თავისუფლების დაცვა	10
3.3 უმცირესობათა გამოხატვის თავისუფლების დაცვა	11
3.4 შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შეფასება რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით	12
3.4.1. ნიგვზიანში, წინწყაროსა და სამთაწყაროში გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტები	13
3.4.2. სოფელ ჭელაში მდებარე მეჩეთის მინარეთის უკანონო დემონტაჟის ფაქტი	14
3.4.3 იეჭოვას მონწმეთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის ფაქტები	15
3.4.4. ხანუქას დღესასწაულთან დაკავშირებული ინციდენტი	16
3.4.5. ფირუზ წულუკიძისა და თემურ ბახუნტარაძის საქმე	16
3.4.6. გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა პანკისის ხეობაში მცხოვრები მუსლიმების მიმართ	17
დასკვნა	18
4. თვალთვალი და მიყურადება	19
4.1 არსებული პრაქტიკა	19
4.2 შსს-ში აღმოჩენილი არქივის მართვა	19
4.3 შავი ყუთები მობილური ოპერატორების ოფისებში	20
4.4 პირადი ცხოვრების ამსახველი და სხვა ვიდეომასალების გავრცელება და ეფექტური გამოძიება	20
5. 2012 წლის არჩევნების შემდეგ შსს-ში განხორციელებული საკადრო ცვლილებები	22
5.1 პერსონალის აყვანის ახალი წესი	22
5.2 არჩევნების შემდეგ სამინისტროში განხორციელებული საკადრო პოლიტიკა	23
5.3 ყოფილი შსს მაღალჩინოსნების დანიშვნა სხვა სახელმწიფო უწყებებში	23
6. ცალკეული პრობლემური შემთხვევების შეფასება	25
6.1. პოლიციის მიერ ჩატარებული რეიდები	25
6.2. რელიგიის თავისუფლება (სოფელი ჭელა, ახალციხე და სხვა)	26
6.3. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ხელის შეშლა	31
6.4. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი გამოძიების პრობლემა	32
7. რეკომენდაციები	42

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ოთხი არასამთავრობო ორგანიზაციის – „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ერთობლივ ნაშრომს. ანგარიში წარმოადგენს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) საქმიანობის მონიტორინგის შედეგებს და მოიცავს 2012 წლის ნოემბრიდან 2014 წლის მარტამდე პერიოდს. ანგარიშში შეფასებულია სამინისტროს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივები, შეკრების თავისუფლების უზრუნველყოფისთვის განხორციელებული ქმედებები და დანაშაულის პრევენციის მიზნით ჩატარებული ღონისძიებები. ასევე, საუბარია შსს-ს თანამშრომელთა მიერ სავარაუდოდ უფლებამოსილებათა გადამეტების ფაქტებზე. შევაფასეთ, არჩევნების შემდეგ პერიოდში შსს-ში განხორციელებული საკადრო ცვლილებები და, ზოგადად, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით სამინისტროს მუშაობის შედეგები.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან სამართალდამცავი უწყებების საქმიანობა ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა. ვარდების რევოლუციამდე შსს-ს საქმიანობა კრიტიკას ვერ უძლებდა როგორც კორუფციის, ასევე ადამიანის უფლებების დარღვევის თვალსაზრისით. რევოლუციის შემდეგ განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები პოლიციაში კორუფციის აღმოფხვრის, უწყებაში კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და სამინისტროს მოდერნიზაციის კუთხით, თუმცა კვლავაც პრობლემები რჩებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის, ბოლო წლების განმავლობაში პოლიციელთა მიერ უფლებამოსილებათა გადამეტებისა და უწყების პოლიტიზირების მიმართულებით.

2012 წლის არჩევნებამდე ოპოზიციაში მყოფი ძალების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანაპირები სწორედ შსს-ს რეფორმას უკავშირდებოდა. სიღრმისეული რეფორმა, მათ შორის უშიშროების ნაწილის სამინისტროდან გამოყოფასაც გულისხმობდა. სწორედ ამიტომ, გადაწყვეტით ახალი მთავრობის პირობებში პოლიციის მუშაობის ერთგვარი შეფასება.

მონიტორინგის შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა:

- მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მაშინვე შეიმუშავა განვითარების სტრატეგია, თუმცა მასში არ მოხვდა სამინისტროდან უშიშროების ნაწილის გამოყოფის საკითხი.
- დადებითად უნდა შეფასდეს ახალი „პოლიციის შესახებ კანონის“ შემუშავების ფაქტი, რადგანაც საქართველოს პოლიცია 90-იან წლებში შემუშავებული კანონმდებლობით მოქმედებდა. თუმცა, ახალ კანონში დარჩა მნიშვნელოვანი პრობლემები, მათ შორის ის რეპრესიული მექანიზმები, რომლებიც მართალია დანაშაულის პრევენციისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგრამ ამავდროულად პოლიციელს ბევრ შემთხვევაში ადამიანის უფლებების შელახვის საშუალებას აძლევდეს.
- შსს-ს რიგი საკანონმდებლო ინიციატივები ცალსახად იყო არაპროგრესული და სამართალდამცავ სფეროში რეფორმების შემაფერხებელი. მაგალითად, მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის გადავადება 2 წლით ცალსახად უკან გადადგმული ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. იგივე შეიძლება ითქვას ადვოკატის უფლებების გაზრდისთვის მიმართული საკანონმდებლო ცვლილებების გადავადებაზე.
- შეკრების თავისუფლების უზრუნველყოფის მხრივ თავდაპირველად სამინისტროს მხრიდან გარკვეული პრობლემები გამოიკვეთა. ოპოზიციური პარტიის შეკრებების უსაფრთხოების დაცვა

მთავარ გამოწვევად რჩებოდა. ამის მკაფიო მაგალითი ეროვნულ ბიბლიოთეკასთან 2013 წლის თებერვლის თვეში განვითარებული მოვლენები იყო. უნდა ითქვას, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ამ მხრივ გაუმჯობესება შეიმჩნეოდა, განსაკუთრებით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში (გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით). თუმცა კვლავაც პრობლემად რჩება სავარაუდო დამნაშავეთა მიმართ გამოყენებული დაბალი სანქციები.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შეფასება რელიგიის თავისუფლების და უმცირესობათა გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით ცალსახად უარყოფითია. მიმდინარე წელს ქვეყანაში გამოვლინდა რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებული სისტემური ხასიათის მწვავე პრობლემები. განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ პოლიცია არ იყო ეფექტური აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში. 2013 წლის 17 მაისის აქციის დროს პოლიციამ ვერ უზრუნველყო აქციის ჩატარებისთვის აუცილებელი უსაფრთხოების ღონისძიებების ეფექტურად დაგეგმვა და დამნაშავე პირების დაკავება და მათ მიმართ ადეკვატური სანქციების გამოყენება.
- კვლავაც პრობლემად რჩება შინაგან საქმეთა სამინისტროში ოპერატიული თვალთვალისა და მიყურადების ძველი მანკიერი სისტემის არსებობა. პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე არსებული კანონმდებლობის შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტებთან.
- საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა მოწმეებზე ზეწოლისა და ეფექტური გამოძიების არ ჩატარების რამდენიმე ფაქტი.
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადგილი ქონდა დანაშაულის პრევენციის მიზნით ე.წ. რეიდების განხორციელებას, რა დროსაც დაირღვა მოქალაქეების უფლებები. ადგილი ქონდა პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტებას.
- შსს-ს თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილებათა გადამეტებისა და სამართალდარღვევათა გამოძიება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. არ არსებობს სამართალდამცავ უწყების თანამშრომლების მიერ კანონდარღვევათა გამოძიების დამოუკიდებელი და ეფექტური მექანიზმი.

2. საკანონმდებლო ინიციატივები

2013 წლის მანძილზე შსს რამდენიმე კანონპროექტის შემუშავებაში იღებდა მონაწილეობას. ამ უწყების ინიციატივით საქართველოს პარლამენტმა განიხილა და მიიღო შემდეგი კანონპროექტები: „საგზაო მოძრაობის შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ განწესებული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ასევე წარადგინა კანონპროექტი „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელსაც პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შსს-ს სტრატეგია და რამდენიმე გახმაურებული კანონპროექტი რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებული საქართველოს პარლამენტმა განიხილა.

2.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს განვითარების სტრატეგია

2013 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებას სამინისტროს განვითარების სტრატეგია¹ წარუდგინა, რაც თავისთავად მისასაღმებელი ფაქტი იყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის უმთავრეს ამოცანად მისი დეპოლიტიზება განისაზღვრა, სტრატეგიის მიხედვით დაიგეგმა სამინისტროს რესტრუქტურისა, რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს შექმნა, გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ჩამოყალიბება, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დანერგვა, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა სამინისტროს სისტემაში. სამწუხაროდ, სტრატეგიაში არ იყო ნახსენები შინაგან საქმეთა სამინისტროდან უშიშროების ნაწილის გამოყოფასთან დაკავშირებით.

საზოგადოების ჩართულობა

სტრატეგიის შემუშავების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ ჩართულიყვნენ დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

2.2. პოლიციის შესახებ კანონი

„პოლიციის შესახებ კანონი“ 2014 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს მიიღო. კანონის თანახმად, პოლიცია ინარჩუნებს აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი

¹ http://police.ge/files/pdf/misia%20da%20strategia/_2013_22.pdf

სამართალდამცავი დაწესებულების სტატუსს, თუმცა აღარ მიეკუთვნება გასამხედროებული დაწესებულებების სისტემას.

კანონის სპეციალური თავი ეთმობა იძულების ღონისძიებების, მათ შორის სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევებს. მსგავს შემთხვევებში პოლიციელი ვალდებულია დაიცვას თანაზომიერების პრინციპი. რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიციელმა უნდა გამოიყენოს მხოლოდ ის პოლიციური ღონისძიება, რომელიც იქნება გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული. შეიძლება ითქვას, ეს არის ერთგვარი გარანტია პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტების წინააღმდეგ.

ახალი კანონით მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდა პოლიციელის სამსახურში მიღების, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების წესი და პირობები და სოციალური დაცვის გარანტიები. კანონში გაკეთდა მკაფიო ჩანაწერი, რომ პოლიციელის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში გენერალურ ინსპექციას ვალდებულება ეკისრება მასალები გადაუგზავნოს საქართველოს მთავარ პროკურატურას. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა, ვინაიდან პოლიციის მიერ საკუთარი თანამშრომლების წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტს. ახალი კანონის მიხედვით ამგვარ შემთხვევაში გამოძიებას პროკურატურის შესაბამისი ორგანო ახორციელებს, რაც აღნიშნულ რისკებს საგრძნობლად ამცირებს.

მიუხედავად ამისა, კანონში კვლავ რჩება საკითხები, მათ შორის სპეციალური საპოლიციო კონტროლი და გადაადგილების/ნივთის ფლობის შეზღუდვის შესახებ, რაც პრაქტიკაში არაერთგვაროვანი გამოყენების და ამ გზით ადამიანის უფლებების ხელყოფის საფრთხეს შეიცავს. არასამთავრობო ორგანიზაციათა შენიშვნების მიუხედავად ვერ მოხერხდა ამ საკითხებზე შეთანხმება.

საზოგადოების ჩართულობა

პოლიციის შესახებ კანონის შემუშავების პირველ ეტაპზე ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა საზოგადოების წარმომადგენლებთან. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებული რედაქცია არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით შემუშავდა, რაც ერთმნიშვნელოვნად დადებითი პრეცედენტია. საკომიტეტო განხილვაში მონაწილე ორგანიზაციების რეკომენდაციით დაიხვეწა რამდენიმე საპოლიციო ღონისძიების ჩატარების წესი, ისევე როგორც პოლიციაში სამსახურის გავლასთან დაკავშირებული საკითხები.

2.3 რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის მარეგულირებელი ნორმები

გასული წლის ნოემბერში მნიშვნელოვანი გამოხმაურება გამოიწვია შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიცირებულმა კანონპროექტმა, რომელიც „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ახალი 169-1-ე მუხლის დამატებას ითვალისწინებდა. აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა პირს იმ შემთხვევაში თუ, იგი თავისი განცხადებით ან ქმედებით რელიგიური სინდინდების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის ან მორწმუნის მიმართ სიძულვილს გამოხატავდა საჯაროდ, რაც მიზნად ისახავდა მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას; ან პირის საჯარო გამოხატვაში ჩანდა რელიგიური შუღლი და სიძულვილი ან შეიცავდა საჯარო მოწოდებას ამგვარი ქმედებისკენ.

სამოქალაქო სექტორი გამოეხმაურა აღნიშნული კანონპროექტის განხილვას პარლამენტში და

გაჟღერდა მონოდებები მხარი არ დაეჭირათ საკანონმდებლო ცვლილებებისთვის, რომელიც თვითნებურ და გაუმართლებელ შინაარსობრივ შეზღუდვას დააწესებდა გამოხატვის თავისუფლებაზე და საფრთხეს შეუქმნიდა თავისუფალ საჯარო დებატებს საზოგადოებაში.²

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებით, გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული შინაარსობრივი შეზღუდვა პირდაპირ წინააღმდეგობაში იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა აღნიშნული კანონპროექტი არაერთხელ გააკრიტიკეს.

მოგვიანებით მთავრობამ აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტიდან გამოიხმო, რაც სამოქალაქო სექტორმა პოზიტიურ ნაბიჯად შეაფასა. მისასალმებელია მთავრობის გადაწყვეტილება უარი ეთქვა საკანონმდებლო ცვლილებაზე, რომელიც მომავალში გამოხატვის თავისუფლებას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა.

საზოგადოების ჩართულობა

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ ცვლილებების პაკეტის პარლამენტში განხილვისას, საკანონმდებლო ინიციატივის მეორე მოსმენაზე განხილვისას შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ყველასათვის მოულოდნელად, პარლამენტის რეგლამენტის დარღვევით, რელიგიური გრძნობების შეურაცყოფის მარეგულირებელი ნორმა წარმოადგინა. აღნიშნულ ნორმაზე არასამთავრობო სექტორთან არავითარი წინასწარი განხილვა არ გამართულა, უფრო მეტიც, ნორმის შესახებ წინასწარ ინფორმაციაც კი არ გავრცელებულა.

2.4 მოწმის დაკითხვის წესის გადავადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით პარლამენტმა განიხილა კანონი და მხარი დაუჭირა გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების ვადის კიდევ ერთხელ გადაწვეას.

მოწმის დაკითხვის ახალი წესის 2015 წლის 31 დეკემბრამდე გადავადება ცალსახად უარყოფითი ფაქტია, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს. ამასთანავე აღნიშნული ცვლილების მიღება შეაფერხებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განვითარებას და კიდევ ერთხელ გაახანგრძლივებს სისხლის სამართლის პროცესში მხარეების არათანასწორ მდგომარეობას, მაშინ როდესაც მოწმის დაკითხვის ახალი წესი აუქმებს ბრალდების მხარისათვის მინიჭებულ გაუმართლებელ უპირატესობებს და ამ გზით უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას. კერძოდ, გამოძიების ეტაპზე მხოლოდ ბრალდების მხარე სავალდებულო წესით ვეღარ მიიღებს მოწმის ჩვენებას. სანაცვლოდ მოწმე ბრალდებისა და დაცვის მხარეების მიერ თანაბარ პირობებში სავალდებულო წესით მხოლოდ სასამართლო პროცესზე დაიკითხება.

სამოქალაქო სექტორის არაერთი მოთხოვნის³ მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 26 დეკემბერს აღნიშნული კანონპროექტი მიიღო და შესაბამისად მოწმის დაკითხვის ახალი წესის

² საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება. <http://transparency.ge/post/general-announcement/sazogadoebrivi-organizatsiebi-sakartvelos-parlaments-moutsodeben-ar-miighos-kanoni>

³ კოალიციის განცხადება მოწმის დაკითხვის ახალი წესის გადავადებასთან დაკავშირებით. <http://transparency.ge/post/general-announcement/gantskhadeba-motsmis-dakitkhvis-akhali-tsisis-amokmedebis-morig-gadavadeba>

ამოქმედება გადაავადა⁴.

საზოგადოების ჩართულობა

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე არასამთავრობო სექტორი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაც ხშირად საუბრობდა და აღნიშნული წესის ამოქმედებასაც ელოდებოდა, კონსულტაციებში და ცვლილებების განხილვაში მათი ჩართვა არ მომხდარა. უფრო მეტიც, არც მთავრობამ, არც პარლამენტმა და არც ქვეყნის პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა სამოქალაქო სექტორის არცერთი მიმართვა და რეკომენდაცია.

2.5 დაცვის მხარისთვის დამატებითი უფლებების მინიჭების გადავადება

საქართველოს მთავრობის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ინიცირებული ცვლილებების თავდაპირველი ვარიანტი ითვალისწინებდა დაცვის ეფექტიანი განხორციელებისათვის აუცილებელ და მნიშვნელოვან გარანტიებს, როგორცაა: დაცვის მხარის უფლება, გამოეთხოვა საჯარო თუ კერძო დაწესებულებიდან დაცვის განსახორციელებლად საჭირო მტკიცებულებები; ეშუამდგომლა სასამართლოს წინაშე ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებს შესახებ; დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე გაესაჩივრებინა განაჩენი და სხვა საპროცესო გადაწყვეტილებები.

სამოქალაქო საზოგადოებამ მხარი დაუჭირა მთავრობის ზემოაღნიშნული ინიციატივას, რადგან ის მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა დაცვის ეფექტიანობის ხარისხს, ხელს უწყობდა მხარეთა შეჭიბრობითობას და ქმნიდა სამართლიანი სასამართლოს განხორციელების გარანტიებს.

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა ორი მოსმენით ზემოაღნიშნული კანონპროექტი მიიღო მნიშვნელოვნად სახემეცვლილი ფორმით. კერძოდ, ადვოკატს არ მიენიჭა უფლება, გამოითხოვოს ინფორმაცია კერძო და საჯარო დაწესებულებიდან, ხოლო სასამართლოში ჩხრეკისა და ამოღების შესახებ შუამდგომლობით მიმართვის უფლების ამოქმედება პარლამენტმა გადაავადა 2014 წლის 01 სექტემბრამდე.

საპარლამენტო მოსმენებზე ჩხრეკისა და ამოღების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლების გადავადების ერთადერთ არგუმენტად (ისევე როგორც მონმის დაკითხვის ახალი წესის გადავადებისას) სამართალდამცავი ორგანოების მოუმზადებლობა დასახელდა.

საზოგადოების ჩართულობა

ამ საკითხზე საკუთარი პოზიცია ნათლად გამოხატა როგორც არასამთავრობო სექტორმა⁵ ასევე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამაც, თუმცა ხელისუფლებამ სრულად უგულებელყო ყველა შენიშვნა და შეთავაზება. პროცესში არ მომხდარა საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა და ადვოკატის უფლებები დაინტერესებული მხარეების ჩართვის გარეშე გადავადდა.

⁴ მონმის დაკითხვის ახალი წესის გადავადების შესახებ კანონპროექტის კენჭისყრის შედეგები

⁵ არასამთავრობოების განცხადება მონმის დაკითხვის ახალი წესის გადავადებასთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია: <http://transparency.ge/post/general-announcement/sakartvelos-parlamentma-mkhari-ar-unda-dauchiros-motsmis-dakitkhvis-akhali-tsisis-gadavadebas>

3. შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შეფასება შეკრების თავისუფლების უზრუნველყოფის კუთხით

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით 2013 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული პოლიტიკის შეფასების მნიშვნელოვან ასპექტს შეკრების თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით პოლიციის საქმიანობის კანონიერებისა და ეფექტურობის საკითხი წარმოადგენს.

მიმდინარე წელს საქართველოში შეკრების თავისუფლების მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა უფრო მეტად შეკრების თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით პოზიტიური ვალდებულებების არაეფექტური შესრულების კუთხით იდგა. ამ პერიოდში ხელისუფლებამ ძირითადად უზრუნველყო პოლიტიკური ხასიათის ოპოზიციური აქციების უსაფრთხო გარემოში ჩატარება. ამგვარი მოცემულობა ხელისუფლების ცვლილებით და არსებული პოლიტიკური კონტექსტით შეიძლება აიხსნას: შეკრების თავისუფლების კუთხით წინა წლებში სახელმწიფოს მიერ ჩადენილი სერიოზული დარღვევების გათვალისწინებით, ახალი ხელისუფლება ცდილობს გაემიჯნოს წარსულ გამოცდილებას, რაც პოლიტიკურ დისკუსიებში წინა ხელისუფლების კრიტიკის მთავარი არგუმენტი იყო. თუმცა, მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ შეძლოს მსგავსი მიდგომისა და პოლიტიკური ნების სხვა რეალობაში ჩვენებაც, როცა პოლიტიკური ხასიათის აქციები მის წინაშე სერიოზულ და მასშტაბურ გამოწვევად შეიძლება დადგეს.

3.1 ოპოზიციური პარტიის შეკრებების უსაფრთხოების დაცვა

საანგარიშო პერიოდში გამართული პოლიტიკური ხასიათის აქციების უსაფრთხო გარემოში ჩატარება ხელისუფლებამ მეტნაკლებად უზრუნველყო. თუმცა, ამ მიმართებით პრობლემურ ეპიზოდს 2013 წლის 8 თებერვალს თბილისში ეროვნული ბიბლიოთეკის შენობის წინ გამართული საპროტესტო აქცია წარმოადგენდა, სადაც დემონსტრანტებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე წევრს და ფიზიკურადაც შეეხნენ მათ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციისთვის განჭვრეტადი იყო/უნდა ყოფილიყო აქციის მონაწილეების რაოდენობა, ძალადობრივი განწყობები და მათგან მომდინარე შესაძლო რისკები, ძალადობის პრევენციისა და ორგანიზებული აღკვეთის მიზნით სამართალდამცავი პირების საქმიანობა ეფექტური არ იყო.⁶ ადგილზე მობილიზებული სამართალდამცავების რაოდენობა და მათ მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებები აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში მისული პოლიტიკური თანამდებობების პირების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.⁷

პრევენციული ღონისძიებების გამოყენების საკითხი მწვავედ დადგა **2013 წლის 20-21 ივლისს ზუგდიდსა და ბათუმში** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო ღონისძიებების წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების დროს. განსახილველი ინციდენტების დროს შეკრების მონაწილეებმა აგრესია და უხეში ძალადობა გამოავლინეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიმართ, რაც ქვების, კვერცხების სროლაში, სიტყვიერ შეურაცხყოფაში გამოიხატა. აღნიშნული ფაქტები

⁶ სახალხო დამცველის განცხადება, 09.02.13. <http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1638>; Human Rights Watch Country Report on Georgia, 2014: <http://www.hrw.org/world-report/2014/country-chapters/122253?page=3>

⁷ საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის თომას ჰამარბერგის ანგარიში, მე-6 თავი: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/20130920_report_ka.pdf

შსს-ს მხრიდან დროულ და ეფექტურ გამოძიებასა და შესაბამისი პირებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას ითხოვდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეზე გამოძიება შინაგან საქმეთა მინისტრმა პირადი კონტროლის ქვეშ აიღო, ამ დრომდე საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი გამოძიების შედეგები.⁸

3.2 მშრომელთა გამოხატვის თავისუფლების დაცვა

შეკრების თავისუფლების დარღვევის სერიოზულ შემთხვევას 2013 წლის პირველ მაისს მშრომელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართული აქციის მონაწილეების მასობრივი დაკავების ფაქტი წარმოადგენდა. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სხვა აქციებისგან განსხვავებით, სახელმწიფო პირველი მაისის აქციაში უშუალოდ ჩაერია და აშკარად არაპროპორციული პოლიციური ძალის გამოყენებითა და აქციის მონაწილეების მასობრივი დაკავებით ნეგატიურად დაარღვია შეკრების თავისუფლება. კერძოდ, პირველი მაისის აქციის დროს აქციის მონაწილეების მიერ გზის სავალი ნაწილის ხანმოკლე (დაახლოებით 10 წუთით) და ნაწილობრივი გადაკეტვა პოლიციისთვის საკმარისი აღმოჩნდა აქციის მონაწილეების დიდი ნაწილის (37 მონაწილის), მათ შორის, აქციის თითქმის ყველა ორგანიზატორის დაკავებისთვის. შემთხვევის ადგილზე გადაღებული ვიდეო მასალა აჩვენებს, რომ პოლიციამ აქციის მონაწილეები დააკავა იმ პირობებშიც, როდესაც ისინი ფეხით მოსიარულეთა სავალ ნაწილზე გადაადგილდებოდნენ და არ არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს.⁹ ამასთან, პოლიციამ ზოგიერთი აქციის მონაწილის მიმართ აშკარად არასაჭირო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ დაკავებიდან რამდენიმე საათში პოლიციამ დაკავებული აქციის მონაწილეები გაათავისუფლა. მოცემულ შემთხვევაში პოლიციამ არ აჩვენა თმენის ვალდებულება მშვიდობიანი აქციების დროს საზოგადოებრივი წესრიგის ბუნებრივი შეფერხების მიმართ, რომელიც მას შეკრების თავისუფლება ავალებს. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვის შემდეგ სასამართლომ ადმინისტრაციული ჯარიმა 400 ლარის ოდენობით მანიფესტაციის მხოლოდ 5 მონაწილეს (166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის), 100 ლარის ოდენობით კი 9 მონაწილეს (166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის) დააკისრა. სასამართლომ აქციის 19 მონაწილე გაათავისუფლა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და შემოიფარგლა სიტყვიერი შენიშვნით, ხოლო 4 პირის მიმართ შეწყვიტა საქმის წარმოება სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო.¹⁰ სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებები per se აჩვენებს, რომ პოლიციის მიერ აქციის მონაწილეების მასობრივი დაკავება უკანონო და არაპროპორციული ზომა იყო. პოლიცია, რა თქმა უნდა, უფლებამოსილია მოახდინოს იმ პირების იზოლირება, რომლებიც არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს და გადიან მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით დაცული სფეროს გარეთ (ამ მიმართებით მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება), თუმცა, განსახილველ საქმეში აქციის მონაწილეების მასობრივი და განურჩეველი დაკავება გაუმართლებელ და არაპროპორციულ ჩარევას წარმოადგენდა.

⁸ <http://1tv.ge/news-view/52844>

⁹ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) განცხადება, 2013 წლის 1 მარტი:

<http://bit.ly/1ezJCdR>

¹⁰ პირველ მაისს დაკავებულ მანიფესტაციის მონაწილეთა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე გამართული სასამართლო განხილვების შემეჯამებელი ანალიზი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

<http://gyla.ge/geo/news?info=1607>

3.3 უმცირესობათა გამოხატვის თავისუფლების დაცვა

შეკრების თავისუფლების დარღვევის ყველაზე რთულ შემთხვევას 2013 წლის 17 მაისს კონტრდემონსტრანტების მიერ ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო (აიდაჰოს) დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი შეკრების ჩაშლა წარმოადგენდა. აქციის მონაწილეებისთვის ხელისუფლების მიერ მიცემული უსაფრთხოების მაღალი გარანტიების მიუხედავად, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პოზიტიური ვალდებულების შესრულება აქციის მონაწილეებისა და კონტრდემონსტრანტების ეფექტური ფიზიკური დაშორებისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით.¹¹ კონტრდემონსტრანტების მიერ კორდონის გარღვევის შემდეგ, პოლიციამ უზრუნველყო აქციის მონაწილეების ევაკუაცია და მათ არ მისცემიათ შესაძლებლობა, ესარგებლათ შეკრების თავისუფლებით.

კონტრდემონსტრანტების რიცხვისა და რიტორიკის გათვალისწინებით, პოლიციისთვის განჭვრეტადი იყო/უნდა ყოფილიყო ის რისკი, რომელიც მათგან მომდინარეობდა. თუმცა, პოლიციის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების გეგმა იმთავითვე არაეფექტური აღმოჩნდა კონტრდემონსტრანტების წინააღმდეგობის შეკავებისა და აიდაჰოს დღესთან დაკავშირებული აქციის უსაფრთხო გარემოში ჩატარების მიზნით.¹² აქციების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა სიმბოლურადაც კი არ აჩვენებდა მის განზრახვას ყველა საშუალებით უზრუნველყო 17 მაისს დაგეგმილი აქციის ჩატარება. შსს-ს მიერ შეკრების ადგილზე გამოყენებული საპოლიციო ძალა აშკარად არაადეკვატური და უსუსური იყო კონტრდემონსტრანტების მიერ კორდონის გარღვევის მცდელობის შემთხვევაში მისი შეკავების მიზნისთვის.¹³ მეტიც, ვიდეომასალა აჩვენებს, რომ კონტრდემონსტრანტებს არ შეხვედრიათ არსებითი წინააღმდეგობა კორდონის გარღვევის პროცესში და პოლიციელებმა სასულიერო პირები და მათ უკან მომავალი კონტრდემონსტრაციის მონაწილეები გაატარეს.¹⁴

აქციის მონაწილეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პოლიციის საქმიანობის ეფექტურობა ყველაზე მეტად სადავო ვაჩნაძის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტთან კავშირში გახდა, როდესაც პოლიციამ ვერ უზრუნველყო აქციის მონაწილეების წინააღმდეგ კონტრდემონსტრანტებისგან მომდინარე რისკების დროული და სათანადო შეფასება. პოლიციამ დაგვიანებით დაიწყო ვაჩნაძის ქუჩის ტერიტორიიდან აქტივისტების (20-მდე ადამიანის) ევაკუაცია, რასაც აქტივისტების ჯანმრთელობის ფიზიკური დაზიანება და მძიმე სტრესი მოჰყვა.

კონტრდემონსტრანტების თავდასხმის დროს აქციის მონაწილეების ევაკუაციის მიზნით შსს-ს ზოგიერთმა თანამშრომელმა ჯეროვნად შეასრულა საკუთარი ვალდებულება, რასაც თავად აქციის მონაწილეებაც უთითებენ.

17 მაისს მიმდინარე აქციების სათანადო მართვის კუთხით პოლიციის საქმიანობის მთავარ ხარვეზს აიდაჰოს დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი აქციის მონაწილეების ევაკუაციის შემდეგ ქუჩებში კონტრდემონსტრანტების დიდი რიცხვის უკონტროლო და აგრესიული ქცევის პრევენციის გეგმის

¹¹ არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადება 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით: <http://gyla.ge/geo/news?info=1581>

¹² ამ მიმართებით იხილეთ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) ანგარიში, მე-7 თავი, ხელმისაწვდომია: <http://gdi.ge/wp-content/uploads/2013/07/GDI-report-full-version.pdf>

¹³ Amnesty International, 17.05.2013: <http://amnesty.org/en/news/georgia-homophobic-violence-mars-tbilisi-pride-event-2013-05-17>

¹⁴ <http://www.youtube.com/watch?v=7uCVYF0NBI>

არარსებობა წარმოდგენდა. ამ ეპიზოდში აქციის მიმდებარე ტერიტორიებზე სხვადასხვა პირის მიმართ (რომლებიც ლგბტ პირებს მიეკუთვნებოდნენ ან აგრესორები მათ ასეთად იდენტიფიცირებას ახდენდნენ) დაფიქსირდა ძალადობის არაერთი ინდივიდუალური შემთხვევა, რაც პოლიციისთვის განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო.

17 მაისს კონტრემონსტრანტების მიერ გამოვლენილი ძალადობის მასშტაბისა და ამ დროისთვის ცნობილი გამოძიების შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ 17 მაისს გამოვლენილ ძალადობასთან დაკავშირებით გამოძიების რეაგირება არ იყო ეფექტური.¹⁵ ამდენად სახელმწიფომ ასევე ვერ უზრუნველყო მისი პოზიტიური ვალდებულების შესრულება ეფექტური სამართლებრივი რეაგირება მოეხდინა შეკრების თავისუფლების დარღვევის შემთხვევებზე და ამ გზით მოეხდინა დარღვეული უფლებების აღდგენა. 17 მაისს შემდეგ მხოლოდ 4 პირს დაეკისრა 100 ლარიანი ჯარიმა წვრილმანი ხულიგნობის (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი) ჩადენისთვის. 2 სასულიერო პირს წარედგინა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით (შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის,¹⁶ რომელთაგან ერთი პირის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა, მეორე სასულიერო პირის მიმართ კი ამ დრომდე მიმდინარეობს სასამართლო განხილვა.

გემოთ წარმოდგენილი დარღვევების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შსს-ს დაგეგმოს და გაატაროს პოლიტიკა შეკრების თავისუფლების სათანადო უზრუნველყოფის მიზნით, რაც, კომპლექსური პროცესია და მათ შორის მოიცავს: შეკრების თავისუფლების ქვეშ მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციის მიზნით გაიდლაინების და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას; პოლიციის თანამშრომლებისთვის აქციების მართვის, კონტროლის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შიდა ინსტრუქციების მიღებას; კონტრემონსტრაციების მართვისა და ძალადობის პრევენციის ეფექტური მეთოდების შემუშავება; აქციების მართვის დროს სპეციალური საშუალებების გამოყენების წესებისა და პროცედურების გაუმჯობესებას; აქციების მართვის დროს გადაწყვეტილების მიღების პროცედურების დახვეწას; პოლიციის თანამშრომლების გადამზადებასა და მათი ცოდნის/შესაძლებლობების გაზრდას.

3.4 შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შეფასება რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით

2013 წელს რელიგიის თავისუფლების კუთხით ქვეყანაში არსებული სისტემური ხასიათის პრობლემები ყველაზე მწვავედ გამოვლინდა. ამ პერიოდში რელიგიური უმცირესობების მიმართ დაფიქსირებული ძალადობის შემთხვევები, რომლებსაც გარკვეული დინამიკურობაც ახასიათებდა კომპლექსურ ახსნას საჭიროებს და მათი მიზეზები არსებულ პოლიტიკურ კონტექსტში უნდა მოიძებნოს. თუმცა, მოცემული ანგარიშის მიზნებისთვის წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილია ამ მიმართულებით შსს-ს საქმიანობის სამართლებრივი შეფასება.

2013 წლის ანალიზი აჩვენებს, რომ განსახილველ პერიოდში ადგილი ჰქონდა რელიგიის

¹⁵ საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის თომას ჰამარბერგის ანგარიში, 4.4. ქვეთავი: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/20130920_report_ka.pdf

¹⁶ ამ მიმართებით იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება 17 მაისის მოვლენებთან კავშირში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე: <http://gyla.ge/geo/news?info=1579>

თავისუფლების შეზღუდვის რამდენიმე მძიმე შემთხვევას, inter alia, მუსლიმი თემის მიმართ 2012-2013 წლებში გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტები **სოფელ ნიგვზიანში, წინწყაროსა და სამთაწყაროში**,¹⁷ 2013 წლის 26 აგვისტოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ სოფელ ჭელაში მეჩეთის მინარეთის უკანონო დემონტაჟი, რასაც პოლიციის მხრიდან მასშტაბური ოპერაციის დაგეგმვა და ადგილობრივი მუსლიმების მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენება ახლდა თან;¹⁸ რელიგიური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი რამდენიმე სერიოზული სამართალდარღვევა იეპოვას მონუმენტის მიმართ.¹⁹ რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე გამოვლენილი ძალადობა თბილისში ხანუქას დღესასწაულის აღნიშვნის დროს.²⁰ სამწუხაროდ, შსს-ს რეაგირება აღნიშნულ ფაქტებზე არ იყო სათანადო და ეფექტური.

3.4.1. ნიგვზიანში, წინწყაროსა და სამთაწყაროში გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტები

ნიგვზიანში, წინწყაროსა და სამთაწყაროში გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტების ანალიზი აჩვენებს, რომ რელიგიური დაპირისპირების დროს პოლიციის როლი პასიური იყო და არ მოახდინა სათანადო რეაგირება სამართალდარღვევის კონკრეტულ ფაქტებზე. კონფლიქტების დროს გამოვლენილი ძალადობის, ძალადობრივი მცდელობის არა ერთი ფაქტის მიუხედავად, რომელიც *prima facie* უთითებდა სისხლის სამართლის კოდექსის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კონკრეტული მუხლების დარღვევას, პოლიციას ისინი არ აღუკვეთავთ და არ დაუკავებია სამართალდამრღვევი პირები. მაგალითისთვის, 2012 წლის 2 ნოემბერს სოფელ ნიგვზიანში რამდენიმე ადგილობრივი ქრისტიანი ძალით შეიჭრა სალოცავის ტერიტორიაზე და ძალადობის მუქარით შეეცადა ხელი შეეშალა რელიგიური წესის აღსრულებისთვის, თუმცა, პოლიცია მხოლოდ აკვირდებოდა პროცესს და არ აღკვეთა ხელყოფის ფაქტი;²¹ 2012 წლის 29 და 30 ნოემბერს სოფელ წინწყაროში ჩანერილი ვიდეო მასალა აჩვენებს მუქარისა და რელიგიური წესის აღსრულებისთვის ხელშეშლის მცდელობის ფაქტებს ადგილობრივი ქრისტიანების მხრიდან, პოლიციის ქცევა ამ მიმართებითაც ნიგვზიანის შემთხვევის იდენტური იყო.²² 2013 წლის 24 მაისს სოფელ სამთაწყაროში ადგილობრივი ქრისტიანების ნაწილი შეიჭრა მუსლიმი თემის სალოცავში, სალოცავიდან გამოუყარა რელიგიური ნივთები, ატრიბუტიკა და ჩაშალა დაგეგმილი ლოცვა,²³ მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე იმყოფებოდნენ პოლიციის თანამშრომლები, მათ სამართალდარღვევა არ აღუკვეთავთ. 2013 წლის 31 მაისს სოფელი სამთაწყაროს მაცხოვრებლებმა გადაკეტეს სოფელში შესასვლელი გზა, მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლები სოფელში არ შეუშვეს და ისინი ძალის გამოყენებითა და მუქარით უკან გააბრუნეს.²⁴ 2013 წლის 7 ივლისს სავარაუდოდ შსს-ს თანამშრომლების მიერ განხორციელდა იძულება სამთაწყაროს მუსლიმთა თემის

¹⁷ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) კვლევა: სეკულარიზმის კრიზისი და ლოიალობა დომინანტი ჯგუფის მიმართ (2012-2013 წლებში საქართველოში გამოვლენილი რელიგიური კონფლიქტების კვლევა), ხელმისაწვდომია: <http://emc.org.ge/2013/12/05/25/>

¹⁸ არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივი განცხადება სოფელ ჭელაში განვითარებული მოვლენების შესახებ, ხელმისაწვდომია: <http://gdi.ge/?p=403>

¹⁹ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) განცხადება, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/1eXyX2I>

²⁰ სახალხო დამცველის განცხადება, ხელმისაწვდომია:

<http://ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1853>

²¹ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) კვლევა, 2.2.2. და 5.2. ქვეთავები;

²² ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) კვლევა, 3.2.2. და 5.2. ქვეთავები;

²³ <http://www.ick.ge/articles/14431-i.html>

²⁴ <http://www.ick.ge/articles/14503--videos.html>

ხოჯას, სულიკო ხოზრევანიძის მიმართ, რაზეც ის პირდაპირ უთითებს სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში;²⁵ 2013 წლის 28 ივნისს ადგილობრივი ქრისტიანების დიდი ჯგუფი სულიკო ხოზრევანიძის სახლში შეიჭრა და მუქარის ქვეშ მოსთხოვა სამლოცველოს დაკეტვა, რასთან დაკავშირებითაც ინტერვიუში პოლიციამ მიუთითა, რომ შემთხვევის დრო რაიმე პრობლემას ადგილი არ ჰქონია.²⁶ პოლიციას ინციდენტის დროს არავინ დაუკავებია.

ეფექტური რეაგირების გარდა, სახელმწიფომ შემდგომშიც ვერ უზრუნველყო კონფლიქტების დროს გამოვლენილი სავარაუდო დანაშაულების ეფექტური გამოძიება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სოფელ ნიგვზიანში 2012 წლის 2 ნოემბერს მუსლიმების მიმართ რელიგიური წესების შესრულებისას უკანონო ხელშეშლას, ძალადობას, მუქარას და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ადგილი არ ჰქონია, სოფელ წინწყაროში კი დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო გამოძიება საერთოდ არ დაიწყო. სამთაწყაროს კონფლიქტთან დაკავშირებით შსს-ს მითითებით, გამოძიება ამ ეტაპზე მიმდინარეობს რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.²⁷

მთლიანობაში რელიგიური კონფლიქტების დროს შსს-ს მიერ გატარებული პოლიტიკა შესაბამისობაში არ მოდიოდა ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნებთან. კერძოდ, განსახილველ საქმეებში პოლიციის უმოქმედობა წინააღმდეგობაში მოვიდა კანონიერების მოთხოვნასთან და სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან - ეფექტური გამოძიებისა და სადამსჯელო მექანიზმების გამოყენებით დაიცვას კერძო პირები მათი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში. ამასთან, კონფლიქტების დროს პოლიციის მიერ შემუშავებულმა ჩაურევლობის სტრატეგიამ რელიგიური კონფლიქტების გეოგრაფიული გავრცელება და მისი ესკალაცია გამოიწვია. დინამიკაში რელიგიური კონფლიქტების ანალიზი აჩვენებს, რომ ყოველმა მომდევნო რელიგიურმა კონფლიქტმა ადამიანის უფლებათა დარღვევის უფრო დიდ მასშტაბსა და ინტენსივობას მიაღწია.

3.4.2. სოფელ ჭელაში მდებარე მეჩეთის მინარეთის უკანონო დემონტაჟის ფაქტი

2013 წლის აგვისტოში რელიგიის თავისუფლების მნიშვნელოვან დარღვევას ჰქონდა ადგილი ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში, რაც ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ მოვლენად იქცა 2013 წელს ადამიანის უფლებათა სფეროში.

2013 წლის 26 აგვისტოს სოფელ ჭელაში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელდა მეჩეთთან არსებული მინარეთის უკანონო დემონტაჟი. შემოსავლების სამსახურმა მინარეთის დემონტაჟის ფორმალურ საფუძველად საქონლის გაშვების შემდგომი გასვლითი შემოწმების პროცედურა დაასახელა. შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ კონსტრუქციის წონა და სასაქონლო კოდი შესაძლოა დეკლარირებულ მონაცემებს არ შეესაბამებოდა, ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ისევე როგორც სახალხო დამცველმა შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული

²⁵ <http://www.ick.ge/articles/14873-i.html>

²⁶ <http://www.ick.ge/articles/14818--video.html>

²⁷ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) კვლევა, 5.2. ქვეთავი;

ღონისძიება უკანონოდ და აშკარად დაუსაბუთებლად შეაფასა.

როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან აღებული ინტერვიუები აჩვენებს, დემონტაჟის განხორციელების პერიოდში გადაკეტილი იყო სოფლისკენ მიმავალი ყველა გზა, ხოლო თავად სპეცოპერაცია ატარებდა უპრეცედენტო მასშტაბებს. მასში მონაწილეობდა 2 ვერტმფრენი, 40-მდე მაღალი გამავლობის ავტომობილი და 200-მდე სამართალდამცავი (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების რაზმი). დემონტაჟის პროცესში მოსახლეობის ნაწილი, რომელიც სალოცავთან ახლოს მისვლას ცდილობდა, პოლიციამ სცემა, ხოლო ნაწილი წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავა. მოქალაქეთა მიერ მობილური ტელეფონით გადაღებულ მასალაში ჩანს, რომ პოლიციამ მოსახლეობის დასაშინებლად რამდენჯერმე გამოიყენა გამაფრთხილებელი გასროლა. გავრცელებული ინფორმაციით, სპეცოპერაციისას პოლიციამ 21 ადამიანი დააკავა, რომელთა ნაწილი 26 აგვისტოს ღამესვე გაათავისუფლეს.

27 აგვისტოს, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ექვსი დაკავებული პირი დააჯარიმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, ხოლო სამ დაკავებულს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის აღმკვეთ ღონისძიებად გირაოს სახით 2-2 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. 2013 წლის ნოემბერში კი შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით, მინარეთი კვლავ დაბრუნებულ და აღმართულ იქნა ჭელაში.

აღსანიშნავია, რომ ნიგვზიანში, წინწყაროსა და სამთაწყაროს კონფლიქტის შემთხვევისგან განსხვავებით, შსს-მ რეპრესიული მექანიზმების გამოყენებაზე უარი არ თქვა ჭელას მინარეთის ინციდენტის დროს, როცა პოლიციამ აშკარად არაპროპორციული და გაუმართლებელი ძალა გამოიყენა ადგილობრივი მუსლიმების მიმართ. ამგვარი სხვაობა მიდგომებში დომინანტი რელიგიური ჯგუფის მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკური ლოიალობით შეიძლება აიხსნას. აღსანიშნავია, რომ ჭელას მინარეთის დემონტაჟის დროს პოლიციელების მიერ ძალის გადამეტების ფაქტებზე გამოძიების დაწყების თაობაზე არა ერთი დასაბუთებული მიმართვის მიუხედავად, პროკურატურამ და შსს-მ უარი თქვა გამოძიების დაწყებაზე. მეტიც, შსს-ს ინფორმაციით პოლიციელთა ქცევაში დისციპლინურ გადაცდომასაც კი არ ჰქონია ადგილი.

3.4.3 იეჰოვას მოწმეთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის ფაქტები

2013-2014 წლებში იეჰოვას მოწმეთა მიმართ ძალადობის ფაქტების რიცხვმა საგრძნობლად მოიმატა. არსებული მდგომარეობის ანალიზი აჩვენებს, რომ გაიზარდა არა მხოლოდ ძალადობრივი შემთხვევების რიცხვი, არამედ სახე იცვალა გამოვლენილი ძალადობის ბუნებამ. განსახილველ პერიოდში რელიგიური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობრივი ფაქტები ხშირად ღიად, საჯარო სივრცეში ხდება და გამოვლენილი აგრესია კოლექტიურ ხასიათს ატარებს. სახალხო დამცველის 2011-2012 წლების ანგარიშების შედეგებთან მიმდინარე პრაქტიკის შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ თუ წინა წლებში რელიგიური ნიშნით ჩადენილი სამართალდარღვევები, ძირითადად არაძალადობრივი იყო და გამოიხატებოდა სიტყვიერ შეურაცხყოფებში და სამეფო დარბაზზე თავდასხმებში, 2013-2014 წლებში იმატა ფიზიკურ პირებზე თავდასხმებმა, რომელთა უმეტესობა გამოიხატება ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის დარღვევაში.

იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანული ორგანიზაციის ანგარიში აჩვენებს, რომ 2013 წლის განმავლობაში გამოვლინდა 45 ძალადობრივი შემთხვევა იეჰოვას მოწმეთა მიმართ, რომელთაგან 14 შემთხვევა გამოიხატა რელიგიური მსახურების დროს იეჰოვას მოწმეთა ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევასა და

რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფაში. მათგან ზოგიერთ შემთხვევაში ფიზიკური ძალადობა საკმაოდ მძიმე ფორმას იღებდა.

2014 წლის ანგარიშის მიხედვით, იანვარი-მარტის პერიოდში იეჰოვას მოწმეთა მიმართ გამოვლინდა ძალადობის 25 შემთხვევა. 20 შემთხვევა გამოიხატა რელიგიური მსახურებისათვის ხელის შეშლაში, აქედან 9 ფიზიკური ძალადობით, ხოლო 11 რელიგიური გრძნობის სიტყვიერი შეურაცხყოფით. შესწავლილი 25 შემთხვევიდან 6 თბილისში, ხოლო დანარჩენი 19 ფაქტს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჰქონდა ადგილი. თბილისში მომხდარი ექვსივე შემთხვევა მოხდა საჯარო ადგილას, როდესაც იეჰოვას მოწმეები მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე გადმოდგმული სტენდებით ეწეოდნენ რელიგიური მსახურებას. თავდასხმების უმეტესობა გამოიხატა რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფასა და რელიგიური ლიტერატურის დატაცებაში და მის დემონსტრაციულად ადგილზე განადგურებაში. აგრესია როგორც წესი კოლექტიურად რამდენიმე ადამიანის მიერ ხორციელდება, რომლებიც ადგილზე სპონტანურად მოქმედებენ.

წინა წლების მსგავსად, რელიგიური სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ სამართალდარღვევებზე პოლიციის რეაგირება ძირითად შემთხვევებში ადეკვატური არ არის. პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის საკითხი, რომ განსახილველ პერიოდში გამოვლენილი ძალადობის ფაქტებზე გამოძიების დაწყების შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები მას სწორ იურიდიულ კვალიფიკაციას აძლევენ (სადაც ჩანს რელიგიური საქმიანობისთვის ხელშეშლის ან თანასწორუფლებიანობის დარღვევის ასპექტი), თუმცა, იმის გამო, რომ გამოძიების პროცესი, როგორც წესი ჭიანურდება, მას კონკრეტული სამართლებრივი შედეგები არ მოსდევს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ დასახელებული შემთხვევების დიდი ნაწილის ამსახველი ვიდეომასალა არსებობს, რომელიც დაზარალებულთა განცხადებებს ერთვოდა, და რომლებიც სხვა ფაქტებთან ერთობლიობაში იძლეოდნენ დასაბუთებულ ვარაუდს იმ პირთა შესახებ, რომელთაც სავარაუდოდ ჩაიდინეს სისხლის სამართლის კოდექსით (შემდგომში სსკ) აკრძალული ქმედებები, პროკურატურა არ იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას და ამ დრომდე არ გამოაქვს ბრალდების შესახებ დადგენილება. ამასთან, ნაცვლად იმისა, რომ პოლიციამ დაიწყო გამოძიება სსკ-ით გათვალისწინებული ქმედებაზე, ის იყენებს ადმინისტრაციული გადაცდომისთვის გათვალისწინებულ ყველაზე მსუბუქ სახდელს - გაფრთხილებას, რაც ვერ ჩაითვლება სისხლის სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის კანონიერ და რელევანტურ ღონისძიებად.

3.4.4. ხანუქას დღესასწაულთან დაკავშირებული ინციდენტი

ხანუქას დღესასწაულთან დაკავშირებით განვითარებულ ინციდენტში პრობლემურია დაკავებული პირების ქმედების კვალიფიკაციის საკითხი. შსს-მ დაკავებული პირების ქმედება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) დააკვალიფიცირა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლით (რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა. აღსანიშნავია, რომ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულის პრევენციისთვის არსებითია, შსს-მ ადეკვატური სამართლებრივი შეფასება მისცეს გამოვლენილ სამართალდარღვევებს.

3.4.5. ფირუზ წულუკიძისა და თემურ ბახუნტარაძის საქმე

ფირუზ წულუკიძისა და თემურ ბახუნტარაძის საქმე - 2013 წლის 13 სექტემბერს ბათუმში პოლიციისათვის წინააღმდეგობის განწევის ბრალდებით ფირუზ წულუკიძე და მისი მწვრთნელი თემურ

ბახუნტარაძე დააკავეს. ბრალდებულები საკუთარ დაკავებას რელიგიური მოტივებით დევნას უკავშირებენ. მათ დაკავებამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონი, 20 წლის ფირუზ ნულუკიძე 2013 წლის 10 აგვისტოს სწორედ რელიგიური მოტივით არ გაუშვეს მსოფლიო ჩემპიონატზე. დაკავებულის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე პოლიციელმა მას ყოველივე ახსნა-განმარტების გარეშე აუკრძალა საქართველოს ტერიტორიის დატოვება, მომდევნო დღეს კი ჭიდაობის ფედერაციამ განუმარტა, რომ „საქართველოსთვის არასასურველ ხალხთან ურთიერთობის“ მიზნით ეკრძალებოდა ქვეყნის დატოვება.

ფირუზ ნულუკიძის განცხადებით, დაკავებისას პოლიციამ ისინი უმოწყალოდ სცემა. როგორც დაკავებული აცხადებს, მათ დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში სცემდნენ, ნაქცეულ მდგომარეობაში მყოფს პოლიციელები ფეხებით ადგებოდნენ ზურგზე, თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს, ხოლო ნაქცეულს თავი მიწაზე დაარტყმევინეს. დაკავებულის განმარტებით, პოლიციელები განსაკუთრებით აგრესიულები იყვნენ თემურ ბახუნტარაძის მიმართ, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა გონებაც დაკარგა. ფიზიკურ შეურაცხყოფას თან ახლდა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხაზგასმა ხდებოდა მათ მრწამსზე, კერძოდ, იმაზე, რომ დაკავებულები იყვნენ მუსლიმები. დაკავებული პირების სხეულზე მრავლობითი დაზიანებების არსებობა დაადასტურა სახალხო დამცველის რწმუნებულმა.

გარდა ამისა, დაკავებულები ამტკიცებენ, რომ მათ მიმართ მანამდე ხორციელდებოდა ზენოლა რელიგიური ნიშნით. კერძოდ, მწვრთნელ თემურ ბახუნტარაძეს საკუთარი საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულზე გაკეთებულ დარბაზში პოლიციელებმა აუკრძალეს ლოცვის ჩატარება.

ცხადია, გემოაღნიშნული ინფორმაცია ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ ადგილი ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოქალაქეთა მიმართ არასათანადო მოპყრობას და მათი რელიგიური ნიშნით დევნას, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებებს.

3.4.6. გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა პანკისის ხეობაში მცხოვრები მუსლიმების მიმართ

მიმდინარე წლის 22 თებერვალს სოფელ დუისში ადგილობრივი მუსლიმების მიერ მოწყობილი საპროტესტო აქცია, სადაც ისინი შსს-ს მიერ პანკისში მცხოვრები ან პანკისის ხეობასთან დაკავშირებული პირებისთვის გადაადგილების თავისუფლების უკანონო და თვითნებური ხელშეშლის ფაქტებზე უთითებდნენ. ადგილობრივების შეფასებით, ყოველგვარი სამართლებრივი და ფაქტობრივი ახსნა-განმარტების გარეშე, შსს ადილობრივი ქისტებს და ჩეჩნებს არ აძლევს საქართველოს ტერიტორიიდან გასვლისა და ასევე საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის შესაძლებლობას. მათი განმარტებით, ადგილობრივი ქისტებისა და ჩეჩნების გარკვეული ჯგუფი (ძირითადად ახალგაზრდები) შსს შეყვანილი ყავს ე.წ. წითელ სიაში და მათზე გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის სპეციალურ რეჟიმს ავრცელებს.

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გემოთ აღნიშნული პრაქტიკის ნათელ მაგალითს საიხან მუზაევის საქმე წარმოადგენს. საიხან მუზაევის მიერ EMC-თვის მიცემული განმარტების შესაბამისად, მიმდინარე წლის იანვრისა და თებერვლის თვეში ის სასწავლებლად მიემგზავრებოდა გაერთიანებულ სამეფოში და მიუხედავად იმისა, რომ მას ყველა დოკუმენტი წესრიგში ჰქონდა, თბილისის აეროპორტში ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე არ მისცეს გამგზავრების საშუალება. მან საზღვრის გადაკვეთა 6-ჯერ სცადა, თუმცა უშედეგოდ. აღსანიშნავია, რომ მუსლიმების მიმართ გადაადგილების თავისუფლების თვითნებური და დაუსაბუთებელი შეზღუდვის ფაქტები ჯერ კიდევ 2013 წლის აგვისტოს თვეში

გამოვლინდა. ამ მიმართებით ნიშანდობლივია ფ. წულუკიძის საქმე, რომელსაც ანალოგიური პრობლემა შეექმნა საქართველოს ტერიტორიიდან გასვლის დროს.

განსახილველი პრობლემისა და ამ მიმართებით შსს-ს მიერ გატარებული პოლიტიკის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია შსს-ს მიერ 2013 წლის 19 სექტემბერს ინიცირებული კანონპროექტის შეფასება. როგორც ცნობილია, კანონპროექტი ითვალისწინებდა „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანას. ინიცირებული კანონპროექტის მიხედვით, კანონის მე-10 მუხლს ემატებოდა ახალი „დ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოქალაქეს ქვეყნიდან დროებითი გასვლისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე ან პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, აგრეთვე საზღვრის გადაკვეთაზე შეიძლება უარი თქმოდეს „სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე“. ინიცირებული კანონპროექტი მიუთითებდა, სამინისტროს განზრახვაზე მოეხდინა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის არსებული უკანონო და თვითნებური პრაქტიკის ლეგალიზება, რაც არაპირდაპირ აჩვენებდა ასეთი შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლების არ არსებობაზე. ინიცირებული კანონი, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან აშკარა კონფლიქტის გამო არ იქნა მიღებული, თუმცა შესაბამისი კანონისმიერ საფუძვლის არარსებობის მიუხედავად, დღემდე საქართველოს მოქალაქეთა გარკვეულ ჯგუფს მიანც ეზღუდება გადაადგილების თავისუფლება.

მოქმედი კანონმდებლობა (საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი) ამომწურავად ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, როდესაც პირს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს ტერიტორიის დატოვებაზე ან ტერიტორიაზე შემოსვლაზე. კანონით გათვალისწინებული არც ერთი პირობაზე სამინისტრო არ უთითებს გადაადგილების შეზღუდვის კონკრეტული ფაქტის დროს და რეალურად, მათი მითითება ფაქტობრივად არარელევანტური იქნებოდა.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული ფაქტებისა და შეფასებებიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ რელიგიის თავისუფლების სათანადო რეალიზების მიზნით შსს-ს პოლიტიკა არ იყო სათანადო და სამართლიანი და უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხის მნიშვნელობისა და სენსიტიურობის გათვალისწინებით, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ის ხელახალ გააზრებას საჭიროებს. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია შსს-მ მკაცრად დაიცვას რელიგიური ნეიტრალიტეტის მოთხოვნა და შეიმუშავოს სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტური პოლიტიკა. რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები კი შსს-ს მხრიდან დროულ, ეფექტურ და გამჭვირვალე გამოძიების ჩატარებას ითხოვს.

4. თვალთვალის და მიყურადება

4.1 არსებული პრაქტიკა

2012 საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უმრავლესობაში მოსული მმართველი ძალის დაპირება იყო, რომ უკანონო თვალთვალისა და მიყურადების შეზღუდვის ძლიერ მექანიზმებს შექმნიდა, თუმცა ხელისუფლებაში მოსვლიდან წელიწად-ნახევარი გავიდა და არ გადადგმულა არსებითი ნაბიჯები პირადი მონაცემების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების შესაქმნელად. სამწუხაროდ, იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც უკანონოდ მოპოვებული კადრები გამოყენებულა კი იქნა კონკრეტული პირების წინააღმდეგ.

4.2 შსს-ში აღმოჩენილი არქივის მართვა

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში აღმოჩენილი იქნა უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების შედეგად მოპოვებული 28687 ფაილი, რომლის უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა ხელისუფლების წევრების, ასევე ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების, მათი პარტიული აქტივისა და ხელმძღვანელი თანამდებობის პირების, ასევე საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი წარმომადგენლების შეხვედრების, ოფისებისა და საცხოვრებელი სახლების ამსახველ ფაქტებს. ჩანაწერების ნაწილი ასევე იყო პირადი ინტიმური ხასიათის.

2013 წლის 15 აგვისტოს საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიქმნა კომისია²⁸, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში აღმოჩენილი უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების შედეგად მოპოვებული მასალის აღრიცხვა, ანალიზი და მათი განადგურების ან დაარქივების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ მთავრობის, მასმედიის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

2013 წლის 5 სექტემბერს კომისიის მიერ საჯაროდ იქნა განადგურებული 110 ელექტრონული დისკი, რომელიც თვალთვალის ქვეშ მყოფი პირების ინტიმური ცხოვრების დეტალებს შეიცავდა. *არა ინტიმური ტიპის ჩანაწერები გადაეგზავნა გამოძიებას და დაევალა იმ პირების გამოვლენა, რომლებიც იღებდნენ გადაწყვეტილებას და ახორციელებდნენ ადამიანების უკანონო თვალთვალს, თუმცა ამ დრომდე უცნობია გამოძიების შედეგები.*

უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის საქმიანობის საბოლოო ანგარიში 2014 წლის 31 იანვარს²⁹, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა, სადაც აღინიშნა, რომ ელექტრონულ მატარებლებზე განთავსებული მასალის უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების, მათი პარტიული აქტივისტებისა და ხელმძღვანელი თანამდებობის პირების, ასევე საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი წარმომადგენლების შეხვედრების, ოფისებისა და საცხოვრებელი სახლების ამსახველ აუდიო/ვიდეო და ფოტო მასალას. ასევე, კომისიამ ვერ მოიძია ვერცერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა აღმოჩენილი ვიდეო, აუდიო და ფოტომასალის მოპოვების კანონიერებას. როგორც ჩანს, უმეტეს შემთხვევებში მონაცემების მოპოვება ხორციელდებოდა კანონის მოთხოვნების უხეში დარღვევით, რაც ატარებდა ფართომასშტაბიან ხასიათს. მაკომპრომეტირებელი მასალების შეგროვების ერთ-ერთი მეთოდს სატელეფონო საუბრების მიყურადება და სხვადასხვა

²⁸ კომისიის შექმნის შესახებ დადგენილება. http://www.government.gov.ge/files/276_37974_104398_206150813.pdf

²⁹ უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის საქმიანობის საბოლოო ანგარიში. ხელმისაწვდომია: <http://police.ge/files/pdf/sabolo%20angariSi%20.pdf>

ადგილებში სათადარიგოდ დამონტაჟებული ვიდეო კამერები წარმოადგენდა.

მართალია, კომისიის საბოლოო ანგარიშში ითქვა, რომ პირად ცხოვრებაში უკანონოდ ჩარევის არც ერთი შემთხვევა არ უნდა დარჩეს სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების გარეშე, მაგრამ ანგარიშში არ შევიდა კომისიის ცალკეული წევრების, ლაშა ტულუშის, კახა კახიშვილის და ეკა გიგაურის მიერ დაფიქსირებული განსხვავებული ამრი, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მომავალში, უკანონო მიყურადებისა და თვალთვალის თავიდან აცილების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შეცვლის კონკრეტულ რეკომენდაციებს მოიცავდა.

4.3 შავი ყუთები მობილური ოპერატორების ოფისებში

კომისიის ცალკეულ წევრთა მოთხოვნა, მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე ეფუძნებოდა არა მხოლოდ უკანონო მოპოვებული ჩანაწერების აღმოჩენას, არამედ იმ ფაქტს, რომ მათი აღმოჩენის შემდეგ, იმ დროს მოქმედი შინაგან საქმეთა მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის პირველმა მოადგილემ, გელა ხვედელიძემ, პირადი მოტივით, ინტერნეტ ქსელში უკანონოდ გაავრცელა ჟურნალისტის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო მასალა. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს სამართალდამცავი ორგანოების მიერ მომავალში ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული მასალების უკანონოდ გავრცელების მაღალ რისკზე. გარდა ამისა, **დღემდე პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამონტაჟებული სპეციალური „შავი ყუთების“ არსებობის საკითხი, რომელიც საშუალებას აძლევს მათ ყოველგვარი კონტროლის გარეშე ჰქონდეთ პირდაპირი წვდომა კავშირგაბმულობის ოპერატორთა მონაცემებთან და ყველა სახის კომუნიკაციასთან კერძო პირებს შორის.** აღნიშნული საკითხის დარეგულირების და გადაჭრის აუცილებლობაზე საუბრობს საკონსტიტუციო, სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი თომას ჰამმარბერგი, მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში „საქართველო გარდამავალ პერიოდში - განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები“.³⁰

4.4 პირადი ცხოვრების ამსახველი და სხვა ვიდეომასალების გავრცელება და ეფექტური გამოძიება

შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, გელა ხვედელიძის მიერ, ჟურნალისტ გიორგი ფარესაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო მასალის უკანონოდ გავრცელების შემდეგ, 2013 წლის 12 მაისს შსს იმჟამინდელმა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა გელა ხვედელიძის დაკავების შესახებ. გამოძიება გელა ხვედელიძის წინააღმდეგ საქართველოს სისხლის სამართლის 157-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაიწყო - პირადი საიდუმლოს უკანონოდ ხელყოფისთვის, იმ პირის მიერ, ვისაც სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ევალებოდა ამ საიდუმლოს დაცვა.

2013 წლის 15 მაისს ბრალდების მხარის მოთხოვნის საფუძველზე გელა ხვედელიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 5000 ლარის ოდენობით და გათავისუფლდა სასჯელალსრულების დაწესებულებიდან. 2013 წლის 26 სექტემბერს წინასასამართლო სხდომაზე გელა ხვედელიძემ განაცხადა, რომ არ ცნობს თავს დამნაშავედ,³¹ ხოლო მისმა ადვოკატმა იმავე სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა საქმის არსებით განხილვაზე უარის თქმის შესახებ, ბრალდების მტკიცებულებების არარსებობის გამო.

³⁰ http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/20130920_report_ka.pdf

³¹ <http://news.ge/ge/news/story/65109-khvedelidze-tavs-damnashaved-ar-tsnobs>

სასამართლომ დაცვის მხარის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ამჟამად მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა და გელა ხვედელიძე ბრალს არ აღიარებს.

მოსამართლის თანაშემწე, 2012 წლის 19 დეკემბერს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ საგანგებო განცხადება გაავრცელა, იმის შესახებ თუ როგორ ცდილობდა შსს-ს სპეცსამსახურის წარმომადგენელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ ერთი მოსამართლის თანაშემწის გადაბირებას და მუქარის გზით აიძულებდა მათთან თანამშრომლობას. კონსტანტინე კუბლაშვილის განცხადებით სპეცსამსახურის წარმომადგენლები მოსამართლის თანაშემწეს 2012 წლის 15 დეკემბერს დაუკავშირდნენ და თანამშრომლობის სანაცვლოდ გარკვეულ თანხას სთავაზობდნენ, ამასთანავე პირადი ცხოვრების ზოგიერთი ფაქტის გასაჯაროებთაც დაემუქრნენ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ საქართველოს მთავარ პროკურატურას გადასცა შესაბამისი მასალები და საქმის დროული გამოძიება მოითხოვა. მიუხედავად ამ გახმაურებული ფაქტისა გამოძიების შედეგები დღემდე უცნობია.

2013 წლის 20 ივნის შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებს სამეგრელოში სპეციალურ სამალავში აღმოჩენილი წამების ამსახველი ვიდეო კადრები დახურულ შეხვედრაზე უჩვენა. ჩვენება პროტესტის ნიშნად რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა დატოვა. შემდგომში მსგავსი ჩვენებები თბილისის საკრებულოს წევრებისთვისაც მოეწყო, კადრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსაც აჩვენებს. გაურკვეველია რას ემსახურებოდა აღნიშნული კადრების საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფებისთვის ჩვენება. სამინისტროს არ წარმოუდგენია რაიმე სახის ლეგიტიმური მიზანი და არც მიზეზი.

მიუხედავად მრავალი გახმაურებული საქმისა ამ მომენტისთვის ეფექტური გამოძიება მათ აბსოლუტურ უმრავლესობაზე არ ჩატარებულა. არ მომხდარა პირადი ცხოვრების შემლახველი პრაქტიკის დამკვიდრებაზე პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და მათი პასუხისგებაში მიცემა.

2012 წლის 15 ნოემბერს არასანქცირებული მოსმენებისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების რამდენიმე მაღალჩინოსანი დააკავეს. ყოფილი მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, შეიქმნა კომპიუტერული ვირუსული პროგრამა, რომლითაც შესაძლებელი გახდა ინტერნეტ მომხმარებლის კომპიუტერში შეღწევა, მასში დაცული ინფორმაციის მოპოვება და იმ ოთახებში, სადაც კომპიუტერები იყო განთავსებული, აუდიო და ვიდეო თვალთვალის განხორციელება. არჩილ კბილაშვილის თქმით, შექმნილი პროგრამის მეშვეობით, კუდი-ს ხელმძღვანელობა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენელთა კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შედიოდა და უკანონო მოსმენები მიმდინარეობდა.

მოგვიანებით, 2012 წლის 22 ნოემბერს, აღნიშნული საფუძვლით დაკავებულ შსს-ს ოთხ მაღალჩინოსანს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა თბილისის სააპელაციო სასამართლომ გირაოთი შეუცვალა. სასამართლოს გადაწყვეტილებით კუდის ყოფილი უფროსი ლევან ქარდავა 30 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ დარბაზიდან გაათავისუფლეს. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს გიორგი ყავლაშვილს 15 ათასლარიანი გირაო შეეფარდა, 18 წლის ვასილ ჯამალაშვილს - 3,000 ლარიანი, გიორგი ჯავახიძეს - 10,000 ლარიანი, ავთანდილ სოლომნიშვილს კი 5,000 ლარიანი გირაოს გადახდა მოუწია.

5. 2012 წლის არჩევნების შემდეგ შსს-ში განხორციელებული საკადრო ცვლილებები

5.1 პერსონალის აყვანის ახალი წესი

2013 წლის დასაწყისში შინაგან საქმეთა სამინისტროს საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 იანვრის #39 ბრძანება,³² რომლითაც შეიცვალა პოლიციაში ზოგიერთი საკადრო საკითხის მარეგულირებელი წესი და შესაძლებელი გახდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ოცმეთაურის ან უფრო მაღალი თანამდებობის პირის, ოპერატიული ქვეგანყოფილების უფროსის ან უფროსის მოადგილის, დეტექტივ-გამომძიებლის, უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის, მესაზღვრე-კონტროლიორისა და რამდენიმე სხვა მნიშვნელოვან თანამდებობაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და გადამზადების კურსების გავლის გარეშე პირთა დანიშვნა ან დანიშნულება.

ამ წესის ცვლილება პირის პოლიციის თანამშრომლად ყოველგვარი წინასწარი მომზადების და სათანადო გამოცდის გარეშე დანიშვნის ან დანიშნულების შესაძლებლობას წარმოქმნიდა. მინისტრის ბრძანება ძალაში იყო 2013 წლის 31 მარტის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება შეზღუდული პერიოდით მოქმედებდა, იგი მნიშვნელოვან რისკებს შეიცავდა. კერძოდ, იქმნებოდა საფრთხე, რომ პოლიციაში ამ პერიოდში თანამდებობებზე დანიშნულიყვნენ პირები, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ შესაბამის მოთხოვნებს და არ გააჩნდათ სათანადო ცოდნა თუ გამოცდილება.

ასევე, გაჩნდა ლეგიტიმური კითხვები, თუ რატომ შეიძლება გამხდარიყო საჭირო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და გადამზადების კურსების გავლაზე დროებით უარის თქმა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ მიმართა³³ შს მინისტრს კითხვით თუ რამ განაპირობა აღნიშნული ბრძანების გამოცემა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 2013 წლის 7 მარტის წერილით³⁴ პასუხი გასცა ორგანიზაციის შეკითხვებს. წერილში აღნიშნულია, რომ სამინისტროს სისტემაში ძირეული ცვლილებები მიმდინარეობს, კრიმინალურ პოლიციას შეუერთდა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი (სოდი), ამასთან სოდ-ში აუცილებელი არ იყო სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების გავლა. შსს-ს განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამების გავლა მოითხოვდა გარკვეულ დროს და პრობლემებს ქმნიდა საშტატო რიცხოვნობის შევსების კუთხით. შსს-ს წერილში საუბარია, ასევე, საპატრულო პოლიციის პატრულირების ზონების გაფართოებაზე და დამატებითი გაძლიერებული ეკიპაჟების აუცილებლობაზე, რაც მოითხოვდა გადაუდებელი და ქმედითი ზომების მიღებას. წერილში, ასევე, საუბარია იმაზე, რომ სამინისტრომ ჩაატარა ტესტირება, რომლის მიზანიც იყო სამინისტროს მოსამსახურეთა ცოდნის, კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და მომზადების დონის შეფასება. აღნიშნული ტესტირების საფუძველზე კი უკვე იგეგმება მოსამსახურეთა ინტენსიური გადამზადება. სამინისტრო წერილში, ასევე, აღნიშნავს, რომ მინისტრის #39 ბრძანება სრულად შეესაბამება კანონს.

სამინისტროს პოზიციის მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური კურსები და საგანმანათლებლო პროგრამები ემსახურება როგორც პროფესიული უნარებისა და ცოდნის ამაღლებას, ისე კვალიფიციური კადრების ობიექტურ შერჩევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და

³² http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/ბრძანება%2039.pdf

³³ http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/TI%20Georgia's%20Letter.pdf

³⁴ http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/MIA's%20Response.pdf

გადამზადების კურსებზე ერთიანად უარის თქმით კი დროებით გაუქმდა შერჩევის ობიექტური წინაპირობები, რაც ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებისა და ნეპოტიზმის რისკებს.

5.2 არჩევნების შემდეგ სამინისტროში განხორციელებული საკადრო პოლიტიკა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ 2013 წლის მარტამდე საჯარო სამსახურში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შესახებ ანგარიში³⁵ მოამზადა. აღნიშნულ ანგარიშში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დანიშნული და განთავისუფლებული მოხელეების სტატისტიკაც იქნა განხილული.

საკითხის შესწავლისას საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის პროცესში გარკვეულ სირთულეები წარმოიქმნა. გარდა იმისა, რომ სამინისტრომ უხეშად დაარღვია პასუხის გაცემისთვის დადგენილი ვადები ოთხი თვის დაგვიანებით მიღებული პასუხი არასრულყოფილი აღმოჩნდა, კერძოდ კვლევის ავტორების მიერ დასმული 13 შეკითხვიდან სამინისტრომ მხოლოდ სამს უპასუხა.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კი, **სამინისტროდან და მისდამი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან (სსიპ) სულ 897 თანამშრომელი გათავისუფლდა.** მათგან 302-მა საკუთარი ინიციატივით დატოვა თანამდებობა. საანგარიშო პერიოდში სამინისტროში 1012 ახალი თანამშრომელი აიყვანეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამინისტროს არ განუმარტავს საჯარო მოსამსახურეთა დანიშვნის საფუძვლები; ამიტომ უცნობია, რა სტატუსით არიან ეს პირები დანიშნული, თუმცა არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მათ მნიშვნელოვან ნაწილს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 25 იანვრის №39 ბრძანების³⁶ გათვალისწინებით დანიშნული თანამშრომლები შეადგენენ. ეს ბრძანება 2013 წლის 31 მარტამდე მოქმედებდა და პირის პოლიციის თანამშრომლად ყოველგვარი წინასწარი მომზადების და სათანადო გამოცდის გარეშე დანიშვნის ან დანიშნულების შესაძლებლობას იძლეოდა.³⁷

5.3 ყოფილი შსს მაღალჩინოსნების დანიშვნა სხვა სახელმწიფო უწყებებში

2013 წლის 13 დეკემბერს საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ცხრა ახალი გუბერნატორი წარადგინა.³⁸ აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო რწმუნებულებად შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე ყოფილი თანამშრომელი დაინიშნა:

1. **სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი** შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს ყოფილი უფროსი აკაკი მაჭუტაძე გახდა;
2. **სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად** დასახელდა ლევან შონია, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეოს უფროსად დაინიშნა.

³⁵ საკადრო პოლიტიკა საჯარო სამსახურში 2012 წლის არჩევნების შემდეგ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“. 2013 წლის 12 აგვისტო. <http://transparency.ge/post/press-release/sakadro-politika-sajaro-samsakhurshi-2012-tsilis-saparlameto-archevnebis-shemdeg>

³⁶ <http://goo.gl/mWDF0>

³⁷ ამ ბრძანების შესახებ დეტალურად იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ბლოგპოსტში: <http://transparency.ge/blog/shss-shi-kadrebis-aqvanis-protsedura-droebit-martivdeba>

³⁸ <http://www.youtube.com/watch?v=dEAFj6xO75E> ბოლო ნახვა 13.02.2014

3. იმერეთის გუბერნატორის თანამდებობა კი შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს (დეპარტამენტი) დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს ყოფილმა უფროსმა ზაზა მეფარიშვილმა დაიკავა.

გუბერნატორების წარდგენასთან ერთად დასახელდა მთავრობის კანცელარიის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ახალი უფროსი აკაკი ჩხენკელი, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილის შსს მინისტრობის დროს ამავე უწყების გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე იყო.

ყურადღებას იქცევს ასევე ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამდებობის პირები სხვა სამინისტროებში მინისტრის მოადგილეებადაც დაინიშნენ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე ალექსი ბატიაშვილი 2012 30 ოქტომბრიდან 2013 წლის 23 ნოემბრამდე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, ხოლო იუსტიციის მინისტრის მოადგილეს ალექსანდრე ტაბატაძეს 2012 წელს შსს-ს მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად პროფესიონალი კადრების ერთი უწყებიდან მეორეში გადაყვანა არ წარმოადგენს რაიმე სახის დარღვევას და კანონთან სრულ შესაბამისობაშია, თუმცა გარკვეულ ეჭვებს ბადებს ის ტენდენცია, რომ სახელმწიფო რწმუნებულებად და მინისტრის მოადგილეებად შსს-ს ყოფილი თანამდებობის პირები დაინიშნენ სწორედ მას შემდეგ, რაც შსს-ს ყოფილი მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა. აღნიშნული ფაქტი შესაძლოა მთავრობის მართვის სისტემის მონოპოლიზაციასაც ემსახურებოდეს.

6. ცალკეული პრობლემური შემთხვევების შეჯამება

6.1. პოლიციის მიერ ჩატარებული რეიდები

2013 წლის აგვისტოში თბილისში რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მოქალაქეთა მასობრივი გაჩერება და შემონმება. რეიდების დროს სისტემატურად ხდებოდა როგორც ქვეითად მოსიარულე პირთა, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩხრეკა, მოქალაქეთა პირადი დოკუმენტაციის შემონმება. გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციის თანამშრომლები ზოგიერთ შემთხვევაში ინერდენტ მოქალაქეების შესახებ ინფორმაციას და შემონმებულ პიროვნებას მობილურით უღებდნენ სურათს. პოლიციის მიერ განხორციელებულ რეიდებს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პრევენციული ღონისძიება უწოდა, რომელიც, სამინისტროს განცხადებით, ერთი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და მძიმე დანაშაულთა გამოვლენას ემსახურებოდა.³⁹

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით გარანტირებულია ადამიანის თავისუფალი გადაადგილების უფლება. აღნიშნული ნორმის თანახმად, „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლება.“ ადამიანისათვის გადაადგილების შესაძლებლობის შეზღუდვა ან მისი აღკვეთა წარმოადგენს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ პირადი თავისუფლების ხელშეუვალობის უფლებაში მნიშვნელოვან ჩარევას.

„ადამიანის თავისუფლება გულისხმობს მის ფიზიკურ თავისუფლებას, მის უფლებას თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე. ადამიანის თავისუფლება არის მისი გადაადგილების თავისუფლება ვიწრო გაგებით.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რეიდების ჩატარება შესაძლებელია სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლით. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ განსაზღვრავს, თუ რა გარემოებებში არის შესაძლებელი ჩხრეკისა და ამოღების განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის, რომ კანონიერების ფარგლებში განხორციელდეს ჩხრეკა და ამოღება, აუცილებელია პოლიციელმა იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომლის თანახმადაც დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ჩხრეკა და ამოღება ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ იქნეს საქმისათვის მნიშვნელოვანი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება ასევე შესაძლებელია ძებნილისა და გვამის აღმოსაჩენად. ჩხრეკისა და ამოღების განხორციელება შესაძლებელია დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე, რომელიც ამავე კოდექსის მიხედვით შემდგენიერად განიმარტება: ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი. არაგონივრულია დასაბუთებულ ვარაუდად მივიჩნიოთ პოლიციელების მიერ შემთხვევით შერჩეულ პირთა მიმართ მასობრივი ჩხრეკის ჩატარება. მოქალაქეთა შეჩერება და ჩხრეკის ჩატარება მასობრივი სახით წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს, რომ პოლიციელების მიერ ხდებოდა არა კონკრეტულად რომელიმე

³⁹ არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადება რეიდებთან დაკავშირებით: <http://transparency.ge/post/general-announcement/arasamtavrobo-organizatsiata-ertoblivi-gantskhadeba-bolo-periodshi-politsi>

დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის ან სხვა სამართალდამრღვევი პირის ძებნა მისი დაკავების მიზნით, არამედ შემთხვევითობის პრინციპით ადამიანების შერჩევა და ჩხრეკა.

იმას, რომ განხორციელებული ღონისძიებები არ შეესაბამებოდა კანონის ზემოაღნიშნულ მოთხოვნას, ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაც იმის შესახებ, რომ ჩატარებული რეიდები ატარებდა პრევენციულ ხასიათს. ამგვარი პრევენციული ღონისძიება ეწინააღმდეგება კანონიერ მიზნებს.

გარდა ამისა, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია შეჩერებულ პირს გააცნოს თავისი ვინაობა, წარუდგინოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და განუმარტოს შეჩერების კანონიერებისა და დასაბუთებულობის გასაჩივრების უფლება“.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ზოგიერთ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა სამართალდამცავების მხრიდან კანონით დაწესებული აღნიშნული მოთხოვნის დარღვევას. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ღონისძიებები უკანონო ხასიათს ატარებდა და არღვევდა მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

გავრცელდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიციელთა ნაწილი დაედევნა ტელეკომპანია ტაბულას ჟურნალისტს, რომელიც იღებდა რეიდის მიმდინარეობის პროცესს, მათ გაჩხრიკეს ჟურნალისტი და გადაღებული ვიდეომასალა იძულებით წაუშალეს. საქართველოს კანონმდებლობით, ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლა წარმოადგენს დანაშაულს, რაც საჭიროებს ადეკვატური გამოძიების ჩატარებას და შესწავლას. „ტაბულამ“ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა აღნიშნული ფაქტის გამოძიება, თუმცა, სამინისტროს განცხადებით, მოცემულ შემთხვევაში რამე სახის კანონდარღვევა არ დასტურდებოდა, შესაბამისად, მოცემულ ფაქტს ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია.

6.2. რელიგიის თავისუფლება (სოფელი ჭელა, ახალციხე და სხვა)

2013 წლის აგვისტოში რელიგიის თავისუფლების მნიშვნელოვან დარღვევას ჰქონდა ადგილი ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში, რაც ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ მოვლენად იქცა 2013 წელს ადამიანის უფლებათა სფეროში.

2013 წლის 26 აგვისტოს სოფელ ჭელაში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელდა მეჩეთთან არსებული მინარეთის დემონტაჟი⁴⁰. შემოსავლების სამსახურმა მინარეთის დემონტაჟის ფორმალურ საფუძველად საქონლის გაშვების შემდგომი გასვლითი შემოწმების პროცედურა დაასახელა. შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ კონსტრუქციის წონა და სასაქონლო კოდი შესაძლოა დეკლარირებულ მონაცემებს არ შეესაბამებოდა, ამიტომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

როგორც მოპოვებული ინფორმაცია ცხადყოფს, დემონტაჟის განხორციელების პერიოდში გადაკეტილი იყო სოფლისკენ მიმავალი ყველა გზა, ხოლო თავად სპეცოპერაცია ატარებდა უპრეცედენტო

⁴⁰ „ადიგენში მეჩეთთან არსებული მინარეთის დემონტაჟი მიმდინარეობს <http://www.interpressnews.ge/ge/regioni/250849-adigenshi-mecheththan-arsebuli-minarethis-demontazhi-mimdinareobs.html?ar=A>

მასშტაბებს. მასში მონაწილეობდა 2 ვერტმფრენი, 40-მდე მაღალი გამავლობის ავტომობილი და 200-მდე სამართალდამცავი (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების რაზმი). დემონტაჟის პროცესში მოსახლეობის ნაწილი, რომელიც სალოცავთან ახლოს მისვლას ცდილობდა, პოლიციამ სცემა, ხოლო ნაწილი წინააღმდეგობის განხორციელების ბრალდებით დააკავა. მოქალაქეთა მიერ მობილური ტელეფონით გადაღებულ მასალაში ჩანს, რომ პოლიციამ მოსახლეობის დასაშინებლად რამდენჯერმე გამოიყენა გამაფრთხილებელი გასროლა. გავრცელებული ინფორმაციით, სპეცოპერაციისას პოლიციამ 21 ადამიანი დააკავა, რომელთა ნაწილი 26 აგვისტოს დამესვე გაათავისუფლეს.

27 აგვისტოს, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ექვსი დაკავებული პირი დააჯარიმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, ხოლო სამ დაკავებულს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის აღმკვეთ ღონისძიებად გირაოს სახით 2-2 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. 2013 წლის ნოემბერში კი შემოსავლების სამსახურის გადანყვეტილებით, მინარეთი კვლავ დაბრუნებულ და აღმართულ იქნა ჭელაში.

ჭელასა და ახალციხეში განვითარებულ მოვლენებს აკვირდებოდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის, მათ შორის, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ წარმომადგენლები, რის შემდეგაც მომზადდა აღნიშნული ფაქტის ერთობლივი სამართლებრივი შეფასება.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ღონისძიება ატარებდა უკანონო ხასიათს, იყო დაუსაბუთებელი, დარღვეულ იქნა როგორც მინარეთის მფლობელის საკუთრების უფლება, ასევე ხელყო მუსლიმი მოსახლეობის რწმენის თავისუფლება.

ჭამბულ აბულაძემ, 2013 წლის 14 ივლისს საქართველოში შემოიტანა მინარეთი (ასანყობი კონსტრუქცია) დაშლილ მდგომარეობაში, რომლის მწარმოებელი სახელმწიფო თურქეთია.

საბაჟო დეკლარაციის შევსებისას დეკლარანტმა მიუთითა, რომ მის მიერ შემოტანილი საქონელი იყო მობილური სახლი, რომლის კოდიც საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით არის 9406 00 110 00.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, საქონლის განბაჟებისას დეკლარანტს ევალეზა (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა) გადაიხადოს დამატებული ღირებულების გადასახადი და იმპორტის გადასახადი.

იმის გათვალისწინებით, რომ საქონელი დამზადებული იყო თურქეთში, ხოლო საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის 2007 წლიდან გაფორმებულია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, თურქეთის რესპუბლიკაში დამზადებული საქონელი იმპორტის გადასახადით არ იბეგრება.

შესაბამისად, ერთადერთი გადასახადი, რომლის გადახდაც დეკლარანტს ევალეზობდა, დამატებული ღირებულების გადასახადი იყო.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169.1 მუხლის თანახმად, დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი შეადგენს საბაჟო ღირებულების 18 პროცენტს. ამავე კოდექსის 213-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ნიშნავს საქონლის დეკლარირების დღისათვის მის შეფასებას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავს

დეკლარანტი. შემოსავლების სამსახური აკონტროლებს საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სისწორეს და იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმება დეკლარირებულ საბაჟო ღირებულებას, მას თვითონ განსაზღვრავს.

სსენებული მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შემდეგ მეთოდებს:

- ა) გარიგების ფასის მიხედვით (პირველი მეთოდი);
- ბ) იდენტური საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მეორე მეთოდი);
- გ) მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მიხედვით (მესამე მეთოდი);
- დ) საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით (მეოთხე მეთოდი);
- ე) შედგენილი ღირებულების მიხედვით (მეხუთე მეთოდი);
- ვ) სარეზერვო მეთოდით (მეექვსე მეთოდი).

საგადასახადო კოდექსის 213-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ყოველი მომდევნო მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებულად ვერ ხერხდება წინა მეთოდის გამოყენება.

მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, ჯამბულ აბულაძე ვალდებული იყო გადაეხადა მის მიერ დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულების 18%. არსებული ინფორმაციით, საქონლის საბაჟო ღირებულება, ღირებულების განსაზღვრის პირველი მეთოდის გამოყენების მიხედვით, იყო 9000 აშშ დოლარი (ინვოისში მითითებული ფასი).

საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად დეკლარანტმა გადაიხადა გადასახადი და განაბაჟა საქონელი, რის შემდეგაც ის საკუთრებაში გადასცა მესამე პირებს.

შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებული განცხადებით, „დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებული საქონლის არასწორად კლასიფიცირებამ შეიძლება გამოიწვიოს იმპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება. აღნიშნული ოდენობის შემცირების დადგენა ფიზიკური დათვალიერებისა და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის გარეშე შეუძლებელია.“ სწორედ ეს გარემოება გახდა მინარეთის დემონტაჟის ფორმალური საფუძველი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქეთის რესპუბლიკაში წარმოებული საქონელი არ ექვემდებარება იმპორტის გადასახადით დაბეგვრას. შესაბამისად, რა წონისა და კლასიფიკაციისაც არ უნდა ყოფილიყო აღნიშნული საქონელი, ის იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებული იყო.

რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს, ის ყველა შემთხვევაში საბაჟო ღირებულების 18%-ს შეადგენს, ხოლო საბაჟო ღირებულება მოცემულ შემთხვევაში უკვე განსაზღვრული და გადახდილი იყო საბაჟო ღირებულების დადგენის პირველი მეთოდის გამოყენებით.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საბაჟო ორგანო ეჭვს შეიტანდა პირველი მეთოდის გამოყენებით საბაჟო ღირებულების დადგენის მართებულობაში, მას უნდა გამოეყენებინა ღირებულების დადგენის ჯერ მეორე, შემდეგ მესამე და ა.შ. მეთოდი. იმავდროულად, მომდევნო მეთოდის გამოყენებისას უნდა დაესაბუთებინა, თუ რატომ ვერ ხერხდებოდა წინა მეთოდის გამოყენებით საბაჟო ღირებულების განსაზღვრა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ვლადიმერ ხუნდაძის 2013 წლის 20 აგვისტოს #39828 ბრძანებაში, რომლის საფუძველზეც განხორციელდა საქონლის გაშვების შემდგომი გასვლითი შემოწმება, არაფერია ნათქვამი,

თუ რატომ ვერ მოხერხდა საბაჟო ღირებულების განსაზღვრა სხვა, წინა რიგის მეთოდის გამოყენებით.

ამასთანავე, თუნდაც დეკლარანტის მიერ არასწორად ყოფილიყო მითითებული კლასიფიკატორი (მობილური სახლი ნაცვლად მეტალო კონსტრუქციებისა), ეს არანაირად არ იმოქმედებდა გადასახადის ოდენობაზე, რადგანაც ის მაინც უნდა ყოფილიყო გამოანგარიშებული საბაჟო ღირებულების 18%-ით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცხადია, რომ დეკლარანტს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის არანაირი გადასახადი არ დაუმაღავს და მან სრულად შეასრულა საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული საგადასახადო ვალდებულებანი, ხოლო შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებული განცხადება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავდა მიზნად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი 214-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საბაჟო კონტროლის ისეთ ფორმას, როგორცაა საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება.

აღნიშნული შემოწმების შესახებ დამატებითი რეგულაციები დადგენილია „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის“ XXV თავით.

აღნიშნული ინსტრუქციის 112-ე მუხლის პირველ პუნქტში ამომწურავადაა მოცემული საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების ჩატარების საფუძვლები. საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოცემულ ბრძანებაში არ არის მითითებული 112-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელი საფუძვლით ჩატარდა საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება, რაც აღრმავებს ეჭვს, რომ საბაჟო სამსახურს არ ჰქონდა შემოწმების ჩატარების სათანადო კანონისმიერი საფუძველი.

ამავე ბრძანების 115-ე მუხლის პირველი პუნქტი ავალდებულებს საგადასახადო ორგანოს, გაშვების შემდგომი გასვლითი შემოწმების დაწყებამდე შემოწმების შესახებ 10 სამუშაო დღით ადრე აცნობოს დეკლარანტს ან სხვა ვალდებულ პირს. როგორც ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, მსგავსი შეტყობინება 2013 წლის 21 აგვისტოს ჩაბარდა ჯამბულ აბულაძის მეუღლეს, ხოლო დემონტაჟი განხორციელდა 26 აგვისტოს. აღნიშნული ქმედებით აშკარად დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნა.

ბრძანების 115-ე მუხლის მე-5 პუნქტი იძლევა ამომწურავ ჩამონათვალს იმ უფლებამოსილებებისა, რომლებიც გაშვების შემდგომი შემოწმების შემთხვევაში აქვს შესაბამის ორგანოს. ეს უფლებამოსილებებია:

ა) დეკლარანტისაგან ან სხვა ვალდებული პირისაგან მოითხოვოს დეკლარირებული საქონლის შემოტანის ან/და გატანის ოპერაციებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სააღრიცხვო (საბუღალტრო) მონაცემების ან/და სხვა ინფორმაციის წარდგენა;

ბ) დეკლარანტისაგან ან სხვა ვალდებული პირისაგან ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლისაგან (რომელსაც აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია) მიიღოს წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები გასვლითი შემოწმების დროს წამოჭრილ საკითხებზე;

გ) განახორციელოს დეკლარანტის ან/და სხვა ვალდებული პირის საქმიანობაზე დაკვირვება, დაათვალიეროს საქონელი, აიღოს სინჯი ან/და ნიმუში.

საბაჟო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ქმედება აშკარად გასცდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. მინარეთი, რომელიც უკვე დამონტაჟებული იყო, არ

წარმოადგენდა საქონელს, არამედ ის იყო უკვე არსებული სხვა უძრავი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი. იმავდროულად, შემონებისას მოხდა არა დეკლარანტის (ან სხვა ვალდებული პირის), არამედ სხვა მესამე პირის (დავით ჩოგაძე) საკუთრებაში შეჭრა. ბუნებრივია, სამართალდამცავ ორგანოებს ამის უფლებამოსილება არ გააჩნდათ.

აღნიშნული პროცესების მიმდინარეობასთან ერთად განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის განცხადებები, რომლებიც პარალელურად კეთდებოდა სახელმწიფო მოხელეების მიერ. საგანგაშოა იუსტიციის მინისტრის პოზიცია ჭელაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მუსლიმებს მინარეთების გარეშე შეუძლიათ ილოცონ, ხოლო ფრაზით „საქართველოს მოუწევს გადანყვება, უნდა იყოს თუ არა ქვეყანაში მინარეთები“, მან ფაქტობრივად კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა რელიგიურ უმცირესობათა მიერ მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობა. ასევე შემაშფოთებელია რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის განცხადებები, რომლითაც მან აქცენტი პოლიტიკურად დაპირისპირებული მხარეების ჭრილში გადაიტანა და საჭიროდ არ მიიჩნია საკითხისთვის „რელიგიური შეფერილობის“ მინიჭება. ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მსგავსი მიდგომა ასეთი სენსიტიური საკითხების მიმართ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყანაში რელიგიური შემწყნარებლობის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას და რელიგიის თავისუფლების რეალიზებას.

სამწუხაროდ, 2013 წლის განმავლობაში რელიგიურ უმცირესობათა უფლებების ხელყოფის ფაქტებისადმი სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილმა დისკრიმინაციულმა მიდგომამ, საკითხის სათანადო რეაგირების გარეშე დატოვებამ და არაადეკვატურმა განცხადებებმა თუ ქმედებებმა გამოიწვიეს სწორედ ის, რომ რელიგიურ ნიადაგზე მუსლიმთა შევიწროებამ და რელიგიის თავისუფლების დარღვევამ სისტემური ხასიათი მიიღო.

ძალადობა იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ - საანგარიშო პერიოდში რელიგიის თავისუფლების დარღვევის ფაქტებს ჰქონდა ადგილი იეჰოვას მოწმეების მიმართაც. გავრცელებული ინფორმაციით, 2013 წლის 26 ოქტომბერს ბათუმში იეჰოვას სამი მოწმე სცემეს. თავდასხმა მოხდა ასევე ოზურგეთში, სადაც იეჰოვას მოწმეებს მანქანის მინები ჩაუმსხვრიეს და არ მისცეს რელიგიური რიტუალის შესრულების შესაძლებლობა. იეჰოვას მოწმეებს პრობლემა შეექმნათ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანშიც, სადაც სოფლის მართლმადიდებელი მოსახლეობა არ აძლევდა სახლის აშენების საშუალებას. იეჰოვას მოწმეების ადვოკატის განცხადებით, დაპირისპირების მიზეზი რელიგიური მრწამსია. ინციდენტისას ადგილი ჰქონდა იეჰოვას მოწმეების მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფას.

სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, რაც გულისხმობს ხელისუფლების ორგანოების მიერ ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას უფლების დარღვევის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფომ მოახდინოს ადეკვატური და დროული რეაგირება ყველა ზემოთ ხსენებულ ინციდენტზე და პასუხისგებაში მისცეს სამართალდამრღვევი პირები.

ფირუზ წულუკიძისა და თემურ ბახუნტარაძის საქმე - 2013 წლის 13 სექტემბერს ბათუმში პოლიციისათვის წინააღმდეგობის განწვევის ბრალდებით ფირუზ წულუკიძე და მისი მწვრთნელი თემურ ბახუნტარაძე დააკავეს. ბრალდებულები საკუთარ დაკავებას რელიგიური მოტივებით დევნას უკავშირებენ. მათ დაკავებამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონი, 20 წლის ფირუზ წულუკიძე 2013 წლის 10 აგვისტოს სწორედ რელიგიური მოტივით არ გაუშვეს მსოფლიო ჩემპიონატზე. დაკავებულის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე

პოლიციელმა მას ყოველივე ახსნა-განმარტების გარეშე აუკრძალა საქართველოს ტერიტორიის დატოვება, მომდევნო დღეს კი ჭიდაობის ფედერაციამ განუმარტა, რომ „საქართველოსთვის არასასურველ ხალხთან ურთიერთობის“ მიზნით ეკრძალებოდა ქვეყნის დატოვება.

ფირუზ ნულუკიძის განცხადებით, დაკავებისას პოლიციამ ისინი უმოწყალოდ სცემა. როგორც დაკავებული აცხადებს, მათ დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში სცემდნენ, ნაქცეულ მდგომარეობაში მყოფს პოლიციელები ფეხებით ადგებოდნენ ზურგზე, თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს, ხოლო ნაქცეულს თავი მიწაზე დაარტყმევინეს. დაკავებულის განმარტებით, პოლიციელები განსაკუთრებით აგრესიულები იყვნენ თემურ ბახუნტარაძის მიმართ, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა გონებაც დაკარგა. ფიზიკურ შეურაცხყოფას თან ახლდა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხაზგასმა ხდებოდა მათ მრწამსზე, კერძოდ, იმაზე, რომ დაკავებულები იყვნენ მუსლიმები. დაკავებული პირების სხეულზე მრავლობითი დაზიანებების არსებობა დაადასტურა სახალხო დამცველის რწმუნებულმა.

გარდა ამისა, დაკავებულები ამტკიცებენ, რომ მათ მიმართ მანამდე ხორციელდებოდა ზენოლა რელიგიური ნიშნით. კერძოდ, მწვრთნელ თემურ ბახუნტარაძეს საკუთარი საცხოვრებელი სახლის ქვედა სართულზე გაკეთებულ დარბაზში პოლიციელებმა აუკრძალეს ლოცვის ჩატარება.

ცხადია, ზემოაღნიშნული ინფორმაცია ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ ადგილი ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოქალაქეთა მიმართ არასათანადო მოპყრობას და მათი რელიგიური ნიშნით დევნას, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებებს.

6.3. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ხელის შეშლა

კანონის უზენაესობის პრინციპის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სახელმწიფოში არსებობდეს ეფექტური უფლებადაცვითი მექანიზმები და ინსტიტუტები. ამ თვალსაზრისით საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახალხო დამცველის ინსტიტუტს, რომელიც იმავდროულად ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2013 წლის 17 ოქტომბერს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს დოკუმენტაციის გაცნობის გარეშე, ძალის გამოყენებით დაატოვებინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგარეჯოს სამმართველოს სამორიგეო ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ხსენებული სამმართველოს უფროსის მოადგილეს, გიორგი რევაზიშვილს დადგინდა წესით გააცნეს თავი და წარუდგინეს სამსახურებრივი მოწმობები. გავრცელებული ვიდეო კადრები ცხადყოფს, რომ ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან სახალხო დამცველის წარმომადგენლების საქმიანობისათვის ხელშეშლას.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მიერ 18 ოქტომბერს გაკეთებული განცხადება სრულიად განსხვავდება გავრცელებულ კადრებში ასახული ფაქტებისგან. ოფიციალურ კომენტარში ნათქვამი იყო, რომ სახალხო

დამცველის აპარატის წარმომადგენლები საგარეჯოს რაიონული სამმართველოს სამორიგეო ნაწილში ისე შევიდნენ, რომ არ წარუდგენიათ სახალხო დამცველის წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი და არც სიტყვიერად გაუცვნიათ თავი.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები ამ კანონის საფუძველზე გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებენ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით. კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში სახალხო დამცველის რწმუნებულებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად შევიდნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში. ასევე „სახალხო დამცველის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს რწმუნებულების უფლებამოსილებას შესაბამისი ორგანოებისგან მოითხოვონ შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა, მიიღონ ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე ნებისმიერი თანამდებობის პირისაგან.

სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს კანონით გათვალისწინებული რეგულირების ეფექტიანად აღსრულება. სახალხო დამცველის ინსტიტუტი წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს. შემაშფოთებელია, რომ აღნიშნულ ორგანოს საშუალება არ მიეცა თავისუფლად განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება. მიგვაჩნია, რომ სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნის ყველა შემთხვევა აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან საჭიროებს მიუკერძოებელ მიდგომას და ადეკვატურ რეაგირებას, რათა არ მოხდეს კანონის დამრღვევ თანამდებობის პირთა წახალისება. მომხდარი ფაქტის მიმართ ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულება საშიშროებას უქმნის კანონის უზენაესობას და ზიანს აყენებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტურად დაცვას ქვეყანაში. მივიჩნევთ, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრული საქმის გამოძიება უნდა მოხდეს დროულად და ეფექტიანად.

6.4. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი გამოძიების პრობლემა

ქვემოთ მოყვანილ საქმეებში საუბარია შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებზე. ამ საქმეთაგან გარკვეულ ნაწილზე გამოძიება დაწყებულია, თუმცა ჩვენთვის ცნობილ არცერთ შემთხვევაში შსს-ს არცერთი თანამშრომელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ იქნა მიცემული. ხშირად, გამოძიების არაეფექტურობა ძალიან აშკარა და თვალშისაცემი იყო. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი მოქალაქე შიო კობიძის შემთხვევაა. შ.კობიძე მიუთითებს, რომ 2013 წლის 27 ოქტომბერს პოლიციელებმა აწამეს. ამ დროიდან მოყოლებული ის ადვოკატის დახმარებით ცდილობდა სამართალდამცავთა დაინტერესებას სხვადასხვა საჩივრებისა თუ პირადი შეხვედრების მეშვეობით. თუმცა, არათუ გამოძიება ეფექტური არ იყო, არამედ გამოძიება რამდენიმე თვის განმავლობაში არც დაწყებულა. გამოძიება დაიწყო მხოლოდ 2014 წლის 4 თებერვალს, საიამი ამ საკითხზე გამართული საგანგებო პრესკონფერენციიდან რამდენიმე დღეში. ამასთან, სამწუხაროა ისიც, რომ ამ საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაციათა აქტიურობა ზოგჯერ შსს-ს

წარმომადგენელთა მხრიდან სისტემის დისკრედიტაციად ფასდებოდა. ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ კონკრეტულ საქმეებს:

1. ბექა და ლაშა გოჩიაშვილების საქმე⁴¹. 2013 წლის 14 იანვარს მედიაში გავრცელდა ქართველი პიანისტის ბექა გოჩიაშვილის განცხადება, რომელშიც ის საუბრობს მონმის სახით დაკითხვისას მასზე განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ბექა გოჩიაშვილი და მისი ძმა ლაშა გოჩიაშვილი ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით მონმის სტატუსით დაიკითხნენ 2013 წლის 8 იანვარს, ვაკე-საბურთალოს მეხუთე განყოფილებაში. ასევე ცნობილია, რომ არასრულწლოვანი (16 წლის) ბექა გოჩიაშვილის დაკითხვას ესწრებოდა მშობელი ვალერიან გოჩიაშვილი. ბექა გოჩიაშვილი თავის განცხადებაში საუბრობდა როგორც მის მიმართ ისე მისი ძმის ლაშა გოჩიაშვილის მიმართ განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და მუქარაზე.

საია დამატებით დაუკავშირდა ბექა გოჩიაშვილის მამას, რომელმაც საია-სთან საუბარში დაადასტურა ბექა გოჩიაშვილის მიერ განცხადებაში დაფიქსირებული ზეწოლის ფაქტები. მან ასევე აღნიშნა, რომ დაკითხვისას ბექას მიმართ ადგილი ჰქონდა ზეწოლას, რაც გამოიხატებოდა „ციხეში ჩასმისა“ და „ცხოვრების გამწვანების“ მუქარაში. ლაშა გოჩიაშვილის მიმართ კი დაფიქსირდა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკური შეურაცხყოფის მუქარა.

2. ლევან კორკოტაშვილის საქმე⁴² - 2013 წლის 9 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მომართეს ლევან კორკოტაშვილის ოჯახის წევრებმა, რომელთა განმარტებითაც 8 ოქტომბერს, შსს ძველი თბილისის #4 სამმართველოს თანამშრომლების მიერ, ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დაკავებულ იქნა ლევან კორკოტაშვილი. მომმართველთა განცხადებით, დაკავების დროს ლევან კორკოტაშვილი პოლიციის თანამშრომლებმა სასტიკად სცემეს და მიაყენეს სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები. იგი მოთავსებულ იქნა ქ. დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში და მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებდა სასწრაფო სამედიცინო ჩარევას.

საია-ს იურისტმა მოინახულა დაკავებული ლევან კორკოტაშვილი, რომელმაც განმარტა შემდეგი: 8 ოქტომბერს, იგი იმყოფებოდა დაბა წყნეთში და იდგა ავტობუსის გაჩერებასთან, რა დროსაც მას მიუახლოვდა ავტომანქანა ნივა. ავტომანქანაში მჯდომმა პოლიციელებმა მას მოსთხოვეს მანქანაში ჩაჯდომა და მათთვის გაყოლა, ხოლო როდესაც კორკოტაშვილმა იკითხა მიზეზი, პოლიციის თანამშრომლები აგრესიულები გახდნენ, გადმოვიდნენ მანქანიდან და დაუწყეს მას უმონწალოდ ცემა. ცემის შედეგად, კორკოტაშვილს აღენიშნება მძიმე დაზიანებები კიდურებსა და სახის არეში, მარჯვენა ხელზე აღენიშნება შეშუპება და დაზიანებული ჰქონდა ქვედა ყბის ძვალი.

ლევან კორკოტაშვილის განმარტებით, შემდგომ იგი გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც მას აიძულებდნენ, ეღიარებინა დანაშაული, თითქოს დაკავების დროს მას თან აღმოაჩნდა ნარკოტიკული საშუალება, მაგრამ მიუხედავად ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლისა, ლ. კორკოტაშვილსგან ვერ მიიღეს აღიარებითი ჩვენება. ვინაიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა

⁴¹<http://gyla.ge/geo/news?info=1370>

⁴²<http://gyla.ge/geo/news?info=1753>

თანდათან დამძიმდა (დაეწყო სახის შეშუპება და სისხლდენა), შემდგომ იგი გადაიყვანეს ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში, სადაც ლ. კორკოტაშვილს გაენია პირველადი სამედიცინო დახმარება.

3. ვასილ ლომსაძის საქმე⁴³. საია-ს ადვოკატების მიერ შესწავლილი ვასილ ლომსაძის საქმის მასალებით ირკვევა შემდეგი:

მოქალაქე ვასილ ლომსაძე, 2013 წლის 27 ოქტომბერს, რუსთავში დაკავებულ იქნა რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლების მიერ. მას ბრალად ედება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 3531-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (პოლიციელზე თავდასხმა). ბრალდებულად ცნობის დადგენილების თანახმად, 2013 წლის 27 ოქტომბერს, დაახლოებით 21:50 საათზე რუსთავში, ბალანჩივადის ქუჩა N7-ის მიმდებარე ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მოადგილეს, ზაალ ადამიას მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავს დაესხა ვასილ ლომსაძე, რა დროსაც ვ.ლომსაძემ ზ.ადამიას მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. 2013 წლის 29 ოქტომბერს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა რუსთავის რაიონულმა პროკურატურამ და მოითხოვა ვასილ ლომსაძისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება. სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა და ვ.ლომსაძეს აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის ნაცვლად გირაო შეეფარდა, რაც გასაჩივრდა პროკურატურის მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინება.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოვლენილ იქნა მთელი რიგი ხარვეზები, რაც მიუთითებს გამოძიების ტენდენციურობაზე, არაკვალიფიციურობასა და არაობიექტურობაზე, კერძოდ:

1. გამოძიება დანეყებულია ვასილ ლომსაძის წინააღმდეგ და დაზარალებულად ცნობილია შსს რუსთავის საქალაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე, ზ.ადამია, მაშინ როდესაც, ვასილ ლომსაძე და ფაქტის უშუალო თვითმხილველი რამდენიმე მონმე მიუთითებს, რომ რეალობა პირიქით იყო, ვასილ ლომსაძე იყო მსხვერპლი და ის პოლიციელებმა ცემეს. დაცვის მხარემ მონმის სტატუსით გამოკითხა ა. ა., რომელმაც განმარტა: „...აღნიშნულ პიროვნებას სახეზე ეტყობოდა, რომ იყო ძალიან ნაცემი, ცხვირიდან სისხლი სდიოდა და მთელი სახე ჰქონდა დასიებული. ჩვენ ვიკითხეთ თუ რაში იყო საქმე. ამ დროს იმ პიროვნებამ დაიწყო ტირილი და სთქვა, რომ ზაალიმ მცემიაო... სადარბაზოში შემოცვივდა დაახლოებით 10 პიროვნება, რომელთაგანაც ზოგს ეცვა პოლიციელის ფორმა, ხოლო ზოგი კი იყო სამოქალაქო ფორმაში. რამდენიმე პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა პირმა უხეშად მოკიდეს ხელი იმ ნაცემ პიროვნებას და დაუწყეს ცემა, რომელიც ასევე ცემა-ცემით გაიყვანეს სადარბაზოდან, როდესაც გაიყვანეს სადარბაზოდან სხვებიც მიცვივდნენ და დაუწყეს ცემა, ამ დროს ერთ-ერთი სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პიროვნება მოგვიბრუნდა და უხეშად მოგვმართა, რომ შევსულიყავით სახლში, ჩვენ შევედით სახლში“. დაცვის მხარემ მონმის სტატუსით, ასევე გამოკითხა ე.ო., ზ. კ, გ.კ, რომლებმაც ასევე დაადასტურეს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან, ვასილ ლომსაძის ცემის ფაქტი.

2. დაცვის მხარის ინიციატივით, დამოუკიდებელ სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორში“ ვასილ ლომსაძეს ჩაუტარდა სამედიცინო ექსპერტიზა. გაცემული დასკვნის თანახმად, სახეზეა: ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა. თავის ტვინის დაჟეჟილობის და სახის ძვლების

⁴³<http://gyla.ge/geo/news?info=1817>

მოტეხილობის გამოსარიცხად ესაჭიროება თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული კომპიუტერული ტომოგრაფია და ნევროლოგიის აქტიური მეთვალყურეობის ქვეშ მედიკამენტოზური მკურნალობა. პირადი გასინჯვით ვ.ლომსაძეს აღენიშნება დაზიანებები სისხლნაჟღენთების, სახის მარცხენა ნახევრის რბილი ქსოვილების შესიების, სუბკონიუქტივალური სისხლჩაქცევის, ნიკაპის დაჟეჟილი ჭრილობის და ნაჭდევების სახით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოქ. ვასილ ლომსაძეს ამჟამად არსებული მონაცემებით დაზიანება მიყენებული აქვს რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის (საგნების) არაერთჯერადი მოქმედებით.

3. დამაჯერებლობას მოკლებულია და კითხვის ნიშნებს აჩენს ბრალდების 2 მონმე პოლიციელის - ივანე ჩოქურისა და მიხეილ ბახუტაშვილის ჩვენება. აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება მითითებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებაშიც, რომლის თანახმადაც: „აღნიშნული მონმეების ჩვენებები ფაქტობრივ გარემოებებში იმდენად თანხვედრი და მსგავსია, რომ ორთოგრაფიული შეცდომებიც კი ერთნაირი აქვთ“.

4. დაკავებულ ვასილ ლომსაძეს არ განემართა მისი უფლებები, რითაც უხეშად დარღვეულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. რუსთავის საქალაქო სასამართლომ ვასილ ლომსაძისათვის პატიმრობის შეფარდების შესახებ შუამდგომლობა სწორედ ამ გარემოების გამო არ დააკმაყოფილა. სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია: „არცერთი პირის დაკითხვის ოქმით არ დასტურდება, რომ დაკავებულ ვასილ ლომსაძეს განემართა მისი უფლება-მოვალეობანი. ... იმ მომენტიდან როდესაც ვასილ ლომსაძეს პოლიციის მუშაკების მიერ შეეზღუდა თავისუფალი მიმოსვლის უფლება, იგი ითვლებოდა დაკავებულად და ბრალდებულად, შესაბამისად, არსებობდა ვალდებულება დაკავებულისთვის გასაგები ფორმით შეეტყობინებინათ დაკავების საფუძვლები, განემართათ, რა დანაშაულის ჩადენაში იყო ბრალდებული და ეცნობებინათ, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის შეკავების უფლება. ...სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებითად არის დარღვეული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე და 175-ე მუხლების მოთხოვნები“.

4. დავით კაპანაძის საქმე⁴⁴. 2013 წლის 8 ოქტომბერს მედიით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოქალაქე დავით კაპანაძეს პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს, რის შემდეგაც მას მიადგა სხეულის მძიმე დაზიანება. საია-ს წარმომადგენლებმა მოინახულეს დავით კაპანაძე, რომლის მიერ მონოდებული ინფორმაცია შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, კერძოდ:

დ.კაპანაძემ აღნიშნა, რომ პროფესიით იგი არის ქორეოგრაფი, თავისი პროფესიით მუშაობს თბილისის ორ სკოლაში. მას გარკვეული სიტყვიერი დაპირისპირება მოუვიდა სხვა ქორეოგრაფთან, თ.ჟ-სთან.

2013 წლის 29 სექტემბერს დ.კაპანაძეს ტელეფონით დაუკავშირდა მისთვის უცნობი პირი, რომელმაც უთხრა, რომ იყო ლაშა ცნობილაძე, თ.ჟ-ს სიძე. დ.კაპანაძის განცხადებით, ლაშა ცნობილაძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას. მომდევნო დღეს, დ.კაპანაძე და ლ.ცნობილაძე შეთანხმდნენ შეხვედრაზე. დაახლოებით დღის 14:30 საათზე, დიღმის მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე ლაშა ცნობილაძე დ.კაპანაძესთან შესახვედრად მოვიდა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულ დაახლოებით 20 პოლიციელთან ერთად. პოლიციელებმა დ.კაპანაძეს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის შემდეგაც სცემეს, ძალის გამოყენებით ჩასვეს ავტომანქანაში და დიღმის მასივის ქვეგანყოფილებაში წაიყვანეს.

⁴⁴<http://gyla.ge/geo/news?info=1750>

განყოფილებაში მივიდა ლაშა ცნობილადეც, რომელიც შსს-ს გენერალური ინსპექციის თანამშრომელი აღმოჩნდა. დ.კაპანაძის გადმოცემით, ლ.ცნობილადემ სხვა პოლიციელებთან ერთად დაუწყო „საქმის გარჩევა“ და დაემუქრა, რომ მის ყურამდე აღარ მისულიყო თ.ჟ-სთან (მისი სიმამრი) დაპირისპირების ამბავი. "საქმის გარჩევას" თან ახლდა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

პოლიციის განყოფილებიდან წამოსვლის შემდეგ დ.კაპანაძე გზაში შეუძლოდ გახდა, დარეკა 112-ზე, განაცხადა, რომ პოლიციელებმა სცემეს და სასწრაფო დახმარება გამოიძახა. დ.კაპანაძე გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში და გაენია შესაბამისი სამედიცინო დახმარება. თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს მიერ გაცემულ ცნობაში მითითებულია შემდეგი დიაგნოზი: „გულმკერდის დახურული ტრავმა, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა“.

იმავე დღეს საავადმყოფოში მივიდა პოლიცია და დ.კაპანაძეს მოსთხოვა კვლავ პოლიციის შენობაში მისვლა, სადაც დ.კაპანაძის განცხადებით, პოლიციელებმა მას იძულებით მიაცემინეს ჩვენება, რომ ვითომ ფიზიკური დაზიანებები პოლიციის შენობიდან წასვლის შემდეგ, მისთვის უცნობმა პირებმა უცნობი მოტივით მიაყენეს.

5. შიო კობიძის საქმე⁴⁵. შემაშფოთებელია მოქალაქე შიო კობიძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. მისი თქმით, 2013 წლის 27 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე, ვარდების მოედანზე, ძველი თბილისის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს და სამმართველოში გადაიყვანეს. კობიძის განცხადებით, პოლიციაში ის აწამეს, 4-5 ადამიანი დაუზოგავად სცემდა, ჭრილობაში ავტოკალამს აჭერდა, აგინებდა, „ცოცხების“ გამოყენებით აშინებდა და დაინვალიდებდას პირდებოდა. სხეულზე არსებულ ფიზიკური ძალადობის კვალს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ადასტურებს. კობიძის ინფორმაციით, წამების ფაქტის უშუალო მონწილე მისი მეგობარი, რომელიც მასთან ერთად დააკავეს. შიო კობიძე მიუთითებს, რომ ადვოკატთან ერთად სამი თვის განმავლობაში ითხოვდა გამოძიების დაწყებას, თუმცა უშედეგოდ. გამოძიება დაიწყო მხოლოდ 2014 წლის 4 თებერვალს, საიდან ამ საკითხზე საგანგებოდ გამართული პრესკონფერენციიდან რამდენიმე დღეში.

6. ლაშა შათირიშვილი⁴⁶. მოქალაქე ლაშა შათირიშვილი 2013 წლის 24 დეკემბერს რუსთავის საქალაქო სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს. მას ბრალად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ედება, რაც ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით შენახვას გულისხმობს. მისი თქმით, დაკავების დროს პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ასევე, აღნიშნულის შესახებ განცხადების შემთხვევაში ნარკოტიკის დადებით დაემუქრნენ. ლაშა შათირიშვილს რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. მოქალაქის სხეულზე არსებულ ფიზიკური ძალადობის კვალს რუსთავის საქალაქო საავადმყოფოს ანკეტა და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისი შეყვანისას ექიმის მიერ დაფიქსირებული დაზიანებები ადასტურებს.

⁴⁵<http://gyla.ge/geo/news?info=1953>

⁴⁶<http://gyla.ge/geo/news?info=1953>

7. ირაკლი წულაძე⁴⁷. მოქალაქე ირაკლი წულაძე 2013 წლის 18 ნოემბერს თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. მისი განმარტებით, დაკავების დროს ირაკლი წულაძეს პოლიციის თანამშრომლებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ასევე ჩაუდეს ნარკოტიკული საშუალება. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა. ი. წულაძის სხეულზე არსებულ ფიზიკური ძალადობის კვალს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისი შეყვანისას ექიმის მიერ დაფიქსირებული დაზიანებები მოწმობს.

8. დავით ჩაჩუა⁴⁸: მოქალაქე დავით ჩაჩუას განცხადების მიხედვით, ის 2014 წლის 19 იანვარს პოლიციის თანამშრომლებმა გამთენიისას დააკავეს და ვაკე-საბურთალოს პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებაში გადაიყვანეს (ტელევიზიის გვერდით). როგორც დავით ჩაჩუა ამბობს, მას თავდაპირველად ფიზიკურად გაუსწორდნენ და ამის შემდეგ გაათავისუფლეს.

9. გიორგი ჭიქურაშვილი⁴⁹: პოლიციელთა მხრიდან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე საუბრობს მოქალაქე გიორგი ჭიქურაშვილი. ის მიუთითებს, რომ ძალადობის შედეგად აიძულეს ეღიარებინა არჩადენილი დანაშაული. გარდა პოლიციელებისა, გიორგი ჭიქურაშვილის ახსნა-განმარტებაში ასევე აღნიშნულია ერთ-ერთი პროკურორის მხრიდან დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედება.

10. სეიფ სეიფიევი⁵⁰: საია-ს იურისტისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში სეიფ სეიფიევი, რომელიც ამჟამად სასჯელაღსრულების #8 დაწესებულებაში იმყოფება, აღნიშნავს, რომ 2013 წლის 11 აგვისტოს მარნეულის პოლიციის განყოფილებაში დაიბარეს დაკითხვაზე. დაკითხვაზე მისვლის შემდგომ, შეიყვანეს პოლიციის შენობაში არსებულ ერთ-ერთ ოთახში და დაუწყეს ცემა. მისგან მოითხოვდნენ, რომ დაებრალეებინა ყაჩაღობაში თანამონაწილეობა. მისი განმარტებით, ცემაში მონაწილეობდა სამი პიროვნება და აღნიშნულს ასევე ესწრებოდა პროკურორი. სეიფ სეიფიევი ასევე მიუთითებს, რომ მოგვიანებით მისი გადაყვანა მოხდა რუსთავში, სადაც კვლავ გაგრძელდა მასზე ფიზიკური და სიტყვიერი ზემოქმედება. იგი აღნიშნავს, რომ თავზე ჩამოაცვეს პოლიეთილენის პარკი, რომელიც მოხსნეს მას შემდგომ, რაც შეუძლოდ გახდა. მისი განმარტებით, ცემა გრძელდებოდა 10-12 საათის განმავლობაში, რამდენიმე წუთის, ზოგჯერ დაახლოებით ნახევარი საათის ინტერვალით.

11. თეიმურაზ გვარაძე. საია-ს იურისტისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში თეიმურაზ გვარაძე მიუთითებს, რომ დააკავეს 2013 წლის 21 მაისს თელავის პოლიციის თანამშრომლებმა. დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებმა - ნუგზარ ზათიაშვილმა, მერაბ კომშიაშვილმა, ვანო ხაზიურმა, თელავის პოლიციის უფროსმა და რამდენიმე სხვა პირმა სცემეს წყლით სავსე ბოთლებით.

12. გიორგი ქოთუაშვილი. საია-ს იურისტისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში გ. ქოთუაშვილი მიუთითებს, რომ მისი დაკავებისას გორის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა მასზე

⁴⁷<http://gyla.ge/geo/news?info=1953>

⁴⁸<http://gyla.ge/geo/news?info=1953>

⁴⁹<http://gyla.ge/geo/news?info=1953>

⁵⁰<http://gyla.ge/geo/news?info=2049>

განხორციელეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, კერძოდ, ფეხებით სცემდნენ ზურგის არეში, ავტომატის კონდახით სცემდნენ თავში და მუშტებს ურტყამდნენ სახის მიდამოებში, ასევე ცდილობდნენ მისთვის დანის ჩადებას.

13. მიხეილ ფარულავა. საია-ს იურისტისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მ. ფარულავა აღნიშნავს, რომ 2014 წლის 5 თებერვალს ქ. თბილისში მოხდა მისი დაკავება, რა დროსაც მასზე განხორციელდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რის გამოც იგი იძულებული გახდა ელიარებინა დანაშაული (ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა), რაც რეალურად არ ჩაუდენია.

14. მამუკა კარელიძე. საია-ს იურისტისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მ. კარელიძე, რომელიც 2013 წლის 20 აგვისტოს ქ. გორში დააკავეს, მიუთითებს, რომ როდესაც ქუჩაში მიდიოდა, მოულოდნელად რამდენიმე პოლიციელი მივიდა მასთან, დააგდეს ძირს და დაუწყეს ცემა. ისინი მიმართავდნენ, რომ თუ არ აღიარებდა ბარის „გატეხვას“ მის მეგობრებსა და ძმას „გაფაქტავდნენ“.

15. ვალერიან ბეჭიკოშვილი. საია-ს იურისტისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ვ. ბეჭიკოშვილი 19 თებერვალს საია-ს თანამშრომლისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ 2014 წლის 28 იანვარს ქ. თბილისში, სასტუმრო „კოლხეთის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს, რის შემდეგაც პოლიციის თანამშრომლები მას „თანამშრომლობას“ და ყოფილ პატიმრებზე ინფორმაციის მიწოდებას სთავაზობდნენ, სანაცვლოდ კი ფულად ანაზღაურებას პირდებოდნენ, რასაც არ დათანხმდა. იგი ასევე უთითებს, რომ მის მიმართ აღნიშნულის შემდგომ განხორციელდა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა⁵¹;

16. რამაზ ნადირაძე: საია-ს იურისტისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში რ. ნადირაძე განმარტებით, 2013 წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით 20:30 წუთზე, მეგობართან ერთად იმყოფებოდა დაბა აგარაში, მთავარ მაგისტრალთან, რა დროსაც პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს და გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. რ. ნადირაძე მიუთითებს, რომ პოლიციის განყოფილებაში ქარელის პოლიციის უფროსი აიძულებდა მიეცა ცრუ ჩვენება და დაებრალეებინა ნარკოტიკების შენახვა, რაზედაც ნადირაძემ უარი განაცხადა. ნადირაძის განმარტებით, ამის შემდგომ ქარელის პოლიციის უფროსმა მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.

17. ირაკლი ქელბაქიანი. საია-ს იურისტისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ი. ქელბაქიანი განმარტავს, რომ 2014 წლის 15 მარტს, ქ. თბილისში არსენასა და ზაალ ქიქოძის ქუჩის კუთხეში საპატრულო პოლიციის ავტომანქანიდან (ნომერი KჩK-636) გადმოვიდა ორი პოლიციელი, რომლებმაც მოსთხოვეს მანქანაში ჩაჯდომა. მას შემდგომ, რაც ი. ქელბაქიანმა იკითხა მიზეზი, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკური ძალის გამოყენებით ჩასვეს საპატრულო პოლიციის მანქანაში. როგორც ი. ქელბაქიანი განმარტავს, მანქანაში ჩასმის შემდგომ დაადეს ხელბორკილები და გააგრძელეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება - თავის და სახის არეში, ასევე კიდურებში ურტყამდნენ ხელით და რკინის ხელკეტით. ი. ქელბაქიანი ასევე აღნიშნავს, რომ შეეცადნენ მისი გაგუდვის იმიტირებას. მისი

⁵¹ <http://gyla.ge/geo/news?info=2049>

დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანისას შედგენილ გარეგნული დათვალეობების ოქმში მითითებულია, რომ მას აღენიშნებოდა: „ნაჭდვეი ყელზე, მარცხენა ყურის უკან ნაკანრები, ორივე მხარზე, მარცხენა მუხლზე მცირე ზომის სილურჯე, მარჯვენა მხარზე სილურჯეები“. დაზიანებების არსებობაზე უთითებს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაცემული ცნობაც⁵²;

18. ბექა გოგუაძე. საია-ს იურისტისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ბექა გოგუაძის განმარტებით, 2013 წლის 17 ნოემბერს დიდუბე-ჩუღურეთის #5 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს, მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, რა დროსაც განყოფილების ორმა თანამშრომლებმა მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. კერძოდ, განყოფილების უფროსის კაბინეტში ჯერ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო შემდგომ წააქციეს და წიხლებით სცემეს ტანისა და სახის არეში.

19. ნუგზარ თაბაგარი. საია-ს იურისტისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში 2014 წლის 18 თებერვალს, დაახლოებით ღამის 3 საათზე დააკავა ძველი თბილისის მე-5 განყოფილებამ, ქურობის ბრალდებით. ბუგზარ თაბაგარის განმარტებით, დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებმა მასზე განახორციელეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ასევე დაემუქრნენ, რომ თუ არ აღიარებდა დანაშაულს, წამალს და იარაღს ჩაუდებდნენ.

20. მამუკა მიქაუტაძე. საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ყურადღება მიიქცია მოქალაქე მამუკა მიქაუტაძის უკანონო დაკავების ფაქტმა, მოგვიანებით მისმა მოწმის სტატუსით დაკითხვამ და გავრცელებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ დაკითხვის დროს ის, სავარაუდოდ, ჩვენების მიღების მიზნით პოლიციელთა მხრიდან ზეწოლას დაექვემდებარა. ჩვენების მიცემის მომდევნო დღეს მამუკა მიქაუტაძემ, ოფიციალური ვერსიის თანახმად, თავი ჩამოიხრჩო. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მამუკა მიქაუტაძე 2013 წლის 5 ივლისს, დილის საათებში, საკუთარ სამუშაო ადგილას დააკავეს. თვითმხილველთა განცხადებით, მიქაუტაძე რამდენიმე საათის მანძილზე ჯერ დაკავების ადგილას ჰყავდათ, ხოლო შემდეგ სამართალდამცავებმა წაიყვანეს. მამუკა მიქაუტაძის გადაყვანა მოხდა შსს თბილისის მთავარი სამმართველოს შენობაში, სადაც, ოფიციალური ვერსიით, ის მოწმედ იკითხებოდა. აღსანიშნავია, რომ მასთან შეხვედრის და დაკითხვაზე დასწრების საშუალება არ მიეცა ადვოკატს, რომელიც პოლიციის შენობაში, გამომძიებელთან დაუკავშირებლობის მოტივით, არ შეუშვეს. ადვოკატს ასევე რამდენიმე საათის განმავლობაში არ მიეცა საშუალება შეხვედროდა მეორე დაკავებულს, გელა მანჯავიძეს.

მას შემდეგ, რაც მამუკა მიქაუტაძემ პოლიციის შენობა დატოვა, საკუთარ მეგობრებს მოუყვა მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ და განაცხადა, რომ მას იატაკზე დაგდებულს თავზე ფეხის დაჭერით მოაწერიეს ხელი გელა მანჯავიძის წინააღმდეგ ჩვენებაზე. მან ასევე განაცხადა, რომ მომდევნო დღით კვლავ დაბარებული იყო პოლიციაში.

მამუკა მიქაუტაძე მასზე განხორციელებული ზემოქმედების შესახებ ესაუბრა საკუთარ მეუღლესაც. მომდევნო დღეს, დღით, მიქაუტაძემ მეგობრებს აცნობა, რომ მომხდარის შემდეგ აღარ სურდა სიცოცხლე. მოგვიანებით კი, მამუკა მიქაუტაძე თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამომხრჩვალა იპოვეს. მამუკა მიქაუტაძის გვამს, საგამომძიებო ორგანოს ინიციატივით, ექსპერტიზა ჩაუტარდა, ხოლო

⁵² <http://gyla.ge/geo/news?info=2049>

მოგვიანებით, ოჯახის თანხმობით, მის გვამს ასევე ჩაუტარდა ალტერნატიული ექსპერტიზა. ამ უკანასკნელის დროს გვამზე დაფიქსირდა რამდენიმე დაზიანება, რომლის მიღების დროც შეესაბამებოდა მამუკა მიქაუტაძის პოლიციის შენობაში ყოფნის დროს. ექსპერტის განცხადებით, მიქაუტაძეს სიკვდილამდე დროის ახლო პერიოდში სხეულის დაზიანება მიადგა „რამე მკვრივი, ბლავი საგნის ზემოქმედებით“.

მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე გამოძიება ანარმოა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, რომელმაც დაადგინა, რომ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მამუკა მიქაუტაძის მიმართ ფიზიკური ან ფსიქიკური შეურაცხყოფის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ საქმეზე გამოძიება უნდა ჩატარებულიყო არა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ანუ იმ უწყების მიერ, რომლის სისტემაშიც სავარაუდოდ ჩადენილ იქნა დანაშაული, არამედ საქართველოს პროკურატურის მიერ. შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს მიერ გამოძიების ეტაპზე გავრცელებული წინასწარი შეფასებები ეჭვქვეშ აყენებს წარმართული გამოძიების დამოუკიდებლობას, ეფექტიანობასა და სანდოობას.

იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის #34-ე ბრძანების (სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე) მე-2 პუნქტის თანახმად, თუ დანაშაული სავარაუდოდ ჩადენილია პოლიციის მიერ, საქმე პროკურატურის გამომძიებლის ქვემდებარეა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ განაცხადა: „იმისთვის, რომ გამოძიება ეფექტიანი იყოს, გამოძიებაზე პასუხისმგებელი და მისი წარმართველი პირები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უნდა იყვნენ, როგორც სამართლის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით. ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ არ უნდა არსებობდეს იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირი მოვლენების მონაწილე პირებთან, არამედ ისინი პრაქტიკულადაც დამოუკიდებელი უნდა იყვნენ. ეფექტიანი გამოძიება, რომელსაც მოითხოვს მე-2 მუხლი, განამტკიცებს საზოგადოების რწმენას, რომ ხელისუფლებას ძალუძს უზრუნველყოს სამართლის უზენაესობა, რათა აღკვეთოს უკანონო ფარული გარიგებების ნებისმიერი გამოვლინება ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება და, როდესაც საქმეში სახელმწიფოს წარმომადგენლების ან სახელმწიფო ორგანოების ხელი ურევია, უზრუნველყოს, რომ მათ პასუხი აგონ თავიანთი ქმედებებისათვის, რომლებსაც შედეგად ადამიანის სიკვდილი მოჰყვა.“

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ გამოძიების პროცესი მიქაუტაძის საქმეზე წარიმართა საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების უხეში დარღვევით.

21. რომან იაკობაძე. საანგარიშო პერიოდში ჩვენი ყურადღება ასევე მიიპყრო რომან იაკობაძის საქმემ. იაკობაძის ოჯახის წევრთა განცხადებით, ადიგენის პოლიციის თანამშრომლები იაკობაძეზე ზნოლას ახორციელებდნენ, აიძულებდნენ ნათესავისათვის ჩადო იარაღი. ისინი აღნიშნავდნენ, რომ იაკობაძეს დააწერიეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. ამ ფაქტების შესახებ დაზარალებულის ოჯახმა შეატყობინა როგორც აჭარის პროკურატურას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ დაკავების შემდგომ იაკობაძეს პოლიციის იმავე განყოფილების მიერ

არ მიეცა დაცვის უფლებით სარგებლობის საშუალება. პოლიციელები უარყოფენ იაკობაძის საქმესთან დაკავშირებით ოჯახის მიერ საზოგადოებისადმი მიწოდებული ფაქტების ნამდვილობას. თუმცა აღნიშნულ ფაქტზე პროკურატურის მიერ სრულყოფილი გამოძიების ჩატარებისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ გამხდარა.

7. რეკომენდაციები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მიიჩნევენ, რომ უახლოეს მომავალში:

- მნიშვნელოვანია, დაიწყოს შსს-ს სიღრმისეული რეფორმა, მათ შორის უწყების რეორგანიზაციის, უშიშროების ნაწილის გამოყოფისა და კადრების მართვის მიმართულებით;
- მიზანშეწონილია, შსს-ს საკანონმდებლო ინიციატივები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იყოს და მოქალაქეების უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას ემსახურებოდეს;
- შსს-მ უმოკლეს ვადებში უნდა მოითხოვოს მონმეთა დაკითხვის წესის და სხვა პროგრესული რეგულაციების ამოქმედება;
- აუცილებელია, შსს-ს მიერ ერთის მხრივ გაანალიზებულ იქნას გასული წლის გამოწვევები, განსაკუთრებით გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის მხრივ და მეორეს მხრივ დაიგეგმოს აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის ეფექტური გზები, მათ შორის პერსონალის ტრენინგის გზით;
- მნიშვნელოვანია უმოკლეს ვადებში გამოძიებულ იქნას ყველა დანაშაული, რომელიც უკავშირდება პოლიციელების მიერ უფლებამოსილებს სავარაუდო გადაშეტებას;
- მნიშვნელოვანია, რომ შსს-ში დამკვიდრდეს მიყურადებისა და თვალთვალის ისეთი სისტემა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნება. ამ მიზნით, აუცილებელია მიღებული იქნეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავს პირადი ცხოვრების ხელყოფის შესაძლებლობას და ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი სუბიექტების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას;
- ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ზედამხედველობის მექანიზმის შექმნის მიზნით ასევე აუცილებელია პირადი ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი სუბიექტების წრის გაფართოვება, გააქტიურება და მათთვის კანონმდებლობით დამატებითი ფუნქციების მინიჭება;
- მიზანშეწონილია, შეიქმნას სპეციალური საზედამხედველო საპარლამენტო კომისია, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ფარული მიყურადებისა და თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შემონახვის, გამოყენების, შენახვის და ჩანაწერების წაშლისა და განადგურების წესების დაცვას;
- საქართველოს კანონმდებლობის თანახმად პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაული პროკურატურამ უნდა გამოიძიოს, თუმცა, პრაქტიკაში არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, რომ გამოიძიებას („მოკვლევას“) აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია. აუცილებელია თოთოეულ კონკრეტულ შემთხვევაში კანონის ეს მოთხოვნა უპირობოდ იქნეს დაცული;
- პოლიციელთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ობიექტური, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიების მიზნით აუცილებელია ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც გამორიცხავს ან მინიმუმამდე დაიყვანს არაეფექტური და მიკერძოებული გამოძიების რისკებს.